# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცბიერებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


შაბათი, 1 ოქტომბერი. 2016 წ. №183 (80754), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


## ილია II:

### მთავარია, დავძლიოთ სულიერი პრობლემები. ქვეყანაში, ისე როგორც მთელ მსოფლიოში, არის რწმენისა და სიყვარულის დეფიციტი

## ფრანცისკე I:

### თქვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორია საქართველოს გამორჩეულ ადგილს მიუჩენს ევროპული ცივილიზაციის წიაღში

## რომის პაპი საქართველოს სტუმრობს

**რომის პაპს ფრანცისკეს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში პირველ ლედისთან მაკა ჩიჩუასთან ერთად საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე დახვდნენ.**

**საქართველო უკვე მეორედ მასპინძლობს ვატიკანის სახელმწიფოს მეთაურს, რაც მიუთითებს ჩვენს განსაკუთრებულ ურთიერთობებზე. დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე ჩვენ მუდმივად ვგრძნობთ ვატიკანის მტკიცე მხარდაჭერას. ჩვენ გვახსოვს ეს თანადგომა როგორც მშვიდობის, ასევე განსაცდელის პირობებშიც, მათ შორის 2008 წელს, რუსეთის სამხედრო აგრესიის დროს,** — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა რომის პაპთან გამართულ პირველ ოფიციალურ შეხვედრაზე.

**„თქვენო უწმინდესობავ, მინდა მადლობა გადაგიხადოთ ამ თანადგომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის მტკიცე მხარდაჭერისთვის“,** — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მომავალ წელს საქართველოსა და ვატიკანს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან 25 წელი გავა, თუმცა გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები საუკუნეებს ითვლის.

მომავალ წელს ჩვენ დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წელს ვიზეიმებთ, თუმცა ჩვენი ურთიერთობები საუკუნეებს ითვლის. პირველი ვიზიტი ვატიკანიდან საქართველოში ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში გაიმართა და მას შემდგომ ჩვენს შორის კულტურული და პოლიტიკური კავშირები ღრმავდება.

სიმბოლურია, რომ პირველი ქართული ბეჭდური წიგნი 1629 წელს რომში გამოიცა, კათოლიკე მისიონერების მიერ. ეს იყო ქართულ-იტალიური ლექსიკონი და ქართული ანბანი, რომელიც ერთ-ერთია მსოფლიოს 14 ძირითად დამწერლობათა შორის. ასევე მე-17 საუკუნეში კათოლიკე მისიონერთა დახმარებით გამოიცა ქართული მეცნიერული გრამატიკა.

**„საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სულხან-საბა ორბელიანის მისიას ევროპაში, რომელმაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე და კიდევ ერთხელ, ნათლად წარმოაჩინა ჩვენი ქვეყნის ევროპული მისწრაფება“,** — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.


იხ. 2 გვ.

**სიმონ ჯაფარიძის ფენომენი** (6)

*მზერა მყინვარწვერიდან*

**ჯემალ ღაღანიძე**

**- ესა ვარ, რასა ვარ...** (7)



**სააკაშვილის მთავარი მონა** (4)

**ნაცკაცუნა**

## სამადლობელი

1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების პირველი ქართველი ჩემპიონის, ქალბატონ მედეა (მზია) ჯუღელის ოჯახი დიდ მადლობას უხდის მისი სახელის უკვდავსაყოფად გაწეული ფინანსური და მორალური მხარდაჭერისთვის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრს ბ-ნ **ტარიელ ხეჩიკაშვილს,** ქ. თბილისის მერს ბ-ნ **დავით ნარმანიას** და ვიცე-მერს ბ-ნ **ლაშა აბაშიძეს,** საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს და მის პრეზიდენტს ბ-ნ **ლერი ხაბელოვს,** ბ-ნ **ჯანო ბაგრატიონს** და საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციას.

**მედეა (მზია) ჯუღელის ოჯახი.**

## ილია II:
# მთავარია, დავძლიოთ სულიერი პრობლემები. ქვეყანაში, ისე როგორც მთელ მსოფლიოში, არის რწმენისა და სიყვარულის დეფიციტი

**კაცობრიობამ** გადადგა დიდი ნაბიჯები წინ მეცნიერებასა და ტექნიკაში, კულტურაში, მაგრამ ამავე დროს დიდი ნაბიჯები გადაიდგა უკან სულიერებაში და სარწმუნოებაში, - განაცხადა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა საპატრიარქოში საქართველოში ვიზიტად მყოფ რომის პაპთან შეხვედრაზე.

— დღეს კაცობრიობა დგას დიდი პრობლემის წინაშე, ეს არის გლობალიზაციის პროცესი. თავისთავად გლობალიზაცია არ არის ცუდი მოვლენა, მაგრამ ამას გააჩნია დიდი საშიშროება, რომ ერთფეროვნებად არ გადაიქცეს მთელი მსოფლიო, ერთფეროვან ქვეყნად. კაცობრიობამ გადადგა დიდი ნაბიჯები წინ მეცნიერებაში და ტექნიკაში, კულტურაში, მაგრამ ამავე დროს დიდი ნაბიჯები გადაიდგა უკან სულიერებაში და სარწმუნოებაში. ეს საშიშროება არის ჩვენს წინაშე. დღეს საქართველო არის ახალი პრობლემების წინაშე, — განაცხადა ილია მეორემ.

კათოლიკოს-პატრიარქი საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებსა და ლტოლვილების საკითხსაც შეეხო და იმედი გამოთქვა, რომ ეს პრობლემები დაძლეული იქნება.

— თითქმის 500 ათასი ადამიანი არის ლტოლვილი საკუთარ ქვეყანაში. ოკუპირებულია აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. ცხინვალი და აფხაზეთი არის ძირძველი ქართული მიწა. 11 წელი ვიყავი აფხაზეთის მიტროპოლიტი და არასდროს არ ყოფილა კონფლიქტი ქართველებსა და აფხაზებს შორის. ეს არის ხელოვნურად შექმნილი კონფლიქტი, მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ ეს პრობლემები დაძლეული იქნება. მთავარია, დავძლიოთ სულიერი პრობლემები. ქვეყანაში, ისე როგორც მთელ მსოფლიოში, არის რწმენისა და სიყვარულის დეფიციტი. საქართველოს ეკლესია ღებულობს მონაწილეობას დიალოგებში, რომელიც არის კათოლიკური ეკლესიისა და მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის.

**მადლობელი ვართ, რომ გვეძლევა საშუალება, ვიმუშაოთ ხელნაწერებზე, რომლებიც მრავალად არის ვატიკანის ბიბლიოთეკაში და რომელიც ასახავს ჩვენს წარსულს და ჩვენ ასევე, მადლობელი ვიქნებით მომავალში თუ ამ მეცნიერულ საქმიანობას შევუწყობთ ხელს, — განაცხადა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კათოლიკური ეკლესიის მეთაურისადმი მიმართვისას.**

* * *

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, საქართველოში ვიზიტად მყოფ რომის პაპს, ფრანცისკე პირველს საპატრიარქოში უმასპინძლა და მას ქართული ხატი უსახსოვრა.

„ფრიად საყვარელო ძმაო, ფრანცისკე პირველო, მოხარული ვართ, რომ ჩამობრძანდით საქართველოში და ამით აგრძელებთ იმ მრავალსაუკუნოვან ტრადიციას, რომელსაც სათავე ჩაეყარა პირველ საუკუნეში. ჩვენი ორი ეკლესია უძველესი სამოციქულო ეკლესიებია.

**რომის ეკლესია დაფუძნებულია პეტრე მოციქულის მიერ, ხოლო საქართველოს ეკლესია დაარსებულია ანდრია პირველწოდებულის მიერ. ეს ურთიერთობა მიმდინარეობს ჩვენი ამ ძმური სიყვარულით. მე მინდა ვთქვა, რომ ეს 20 საუკუნე ჩვენ ძმური სიყვარულით ვცხოვრობდით და ვცხოვრობთ.**

**საქართველო არის ის ქვეყანა, სადაც ჩამოიტანეს კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. საქართველო არის წილხვედრი ყოვლად წმინდისა ღვთისმშობლისა. ამიტომ, ჩვენი არსებობა, ჩვენი კეთილდღეობა დაფუძნებულია ამ სულიერ მოღვაწეებზე. უნდა ითქვას, რომ მრავალი პრობლემაც გვქონდა ჩვენ და უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს პრობლემები იყო ღვთის ლოცვა-კურთხევით დაძლეული“ — მიმართა საქართველოს პატრიარქმა რომის პაპს.**

## რომის პაპი ფრანცისკე I:
# თქვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორია საქართველოს გამორჩეულ ადგილს მიუჩენს ევროპული ცივილიზაციის წიაღში

**„პატივცემულო** ხელისუფალნო, დიპლომატიური კორპუსის აღმატებული წევრებო, ქალბატონებო და ბატონებო. მადლობას ვუძღვნი ყოვლისმპყრობელ ღმერთს, რომ შესაძლებლობა მომცა, ვწვეოდი ამ კურთხეულ მიწას, კუტურათა და ცივილიზაციათა შეხვედრისა და სასიცოცხლო ურთიერთგაცვლის ადგილს, რომელმაც მე-4 საუკუნეში წმინდა ნინოს ქადაგებიდან მოყოლებული, ქრისტიანობაში ჰპოვა თავისი სიღრმისეული მეობა და საკუთარ ფასეულობათა მყარი საფუძველი.

**როგორც წმინდა იოანე პავლე მეორემ თქვენს სამშობლოში სტუმრობისას განაცხადა — ქრისტიანობა იქცა იმ მარცვლად, რომლიდანაც შემდგომში აყვავდა ქართული კულტურა და ამ მარცვალს, კვლავაც მოაქვს თავისი ნაყოფი.**

**მადლიერებით ვიგონებ რა ჩვენს შარშანდელ შეხვედრას ვატიკანში და იმ კეთილ ურთიერთობებს, რომლებსაც საქართველო მუდამ ინარჩუნებდა წმინდა საყდართან, გულითად მადლობას მოგახსენებ ბატონო პრეზიდენტო, სასურველი მოწვევისათვის, იმ თბილი, მისასალმებელი სიტყვისათვის, რომლითაც მომმართეთ ხელისუფლებისა და მთელი ქართველი ერის სახელით. თქვენი სამშობლოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია თქვენივე კულტურით, ენითა და ტრადიციებით გამოხატულ ფასეულობებში, ფესვგადგმული სრული უფლებით მიუჩენს თქვენს ქვეყანას ნაყოფიერსა და გამორჩეულ ადგილს ევროპული ცივილიზაციის წიაღში. ამავე დროს, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველო წარმოგვიდგება ევროპასა და აზიას შორის გადებულ ბუნებრივ ხიდად, ხალხებს რომ აკავშირებს და ურთიერთობებს უადვილებს. ხიდად, რომელმაც საუკუნეების მანძილზე, შესაძლებელი გახადა განსხვავებულ სამყაროთა შორის, როგორც სავაჭრო ურთიერთობები, ასევე, დიალოგი და აზრთა თუ გამოცდილებათა გაცვლა-გამოცვლა.**

**თქვენი ეროვნული ჰიმნიც ხომ ამაყად გვიცხადებს — „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა, განათებული მთა-ბარი, წილნაყარია ღმერთთანა“ — სამშობლო მართლაც ხატია, მეობას რომ გვიყალიბებს, იერსახეს გვანიჭებს და ისტორიას გვისახავს.**

**თავისუფალი, თუმცა არცთუ გადაულახავ კედლებად, ცადაზიდული მთები კი ბრწყინვალეებით აღავსებენ ხეობებსა და მინდორ-ველებს, ერთმანეთთან აკავშირებს მათ და ამავე დროს, თავისებურად ერთურთისგან განსხვავებულად წარმოგვიჩენენ თითოეულ მათგანს. ყველანი ერთად კი, ერთ საერთო ცას უწყობენ ხმას, ზემოდან რომ დაჰყურებს და იფარავს მათ!“**

* * *

**— 25 წელი გავიდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან. ამ პერიოდის მანძილზე, კვლავ მოპოვებული სრული თავისუფლების პირობებში თქვენმა ქვეყანამ აღაშენა და განამტკიცა დემოკრატიული ინსტიტუტები და დასახა საყოველთაო და ჭეშმარიტი განვითარების გზები.**

**ყველაფერმა ამან დიდი მსხვერპლიც მოითხოვა, რომელიც ერმა ვაჟკაცურად გაიღო, რათა დაეცვა ასე ნანატრი თავისუფლება. გისურვებთ, რომ მშვიდობისა და განვითარების გზაზე ხელიხელჩაკიდებულს ევლოს საზოგადოების ყველა წევრს, რაც შექმნიდა სტაბილურ, სამართლიანსა და კანონისადმი პატივისცემით აღსავსე გარემოს, რომელიც უზრუნველყოფდა საზოგადოების ზრდას და ყველასათვის ხელსაყრელი შესაძლებლობების შექმნას. ამგვარ ჭეშმარიტსა და მდგრად წინსვლას თავისი აუცილებელი წინასწარი პირობაც აქვს. ესაა რეგიონის ერებსა და სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობა. საამისოდ კი აუცილებელია მათ შორის ურთიერთპატივისცემის განმტკიცდება, რაც უცილობლად გულისხმობს თითოეული მათგანის სუვერენული უფლებების პატივისცემას და მათთვის ანგარიშის გაწევას საერთაშორისო სამართლის ფარგლებში.**

**მართლაცდა, მსოფლიოს უამრავ წერტილში, როგორც ჩანს, ის ლოგიკა ჭარბობს, რომელიც ართულებს კანონიერი განსხვავებებისა და უთანხმოებების (რომლებიც ყოველთვის შეიძლება წარმოიშვას) მოქცევას ცივილიზებული განსჯისა და დიალოგის კალაპოტში, სადაც გაიმარჯვებდა საღი აზრი, ზომიერება და პასუხისმგებლობის გრძნობა. ეს განსაკუთრებით საჭიროა დღეს, როცა არცთუ იშვიათია ძალადობრივი ექსტრემიზმი, რომლებიც მანიპულირებს სამოქალაქო თუ რელიგიური პრინციპებით და ამახინჯებს მათ, რათა გაბატონებისა და სიკვდილის ბნელ გეგმებს დაუქვემდებაროს ისინი,** — განაცხადა რომის პაპმა.

# თეა წულუკიანი: სიის „ჩავარდნის“ შესახებ ინფორმაცია ტყუილია!

**საქართველოდან სტრასბურგის სასამართლოში წარდგენილი მოსამართლეობის კანდიდატების ჩავარდნის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციაზე იუსტიციის მინისტრი კომენტარს აკეთებს და აცხადებს, რომ ინფორმაცია „ერთმა პარტიულმა ტელევიზიამ გაავრცელა, რომელსაც ოპოზიციური პარტია მართავს“.**

**„სიმართლე არის ის, რომ გუშინ პარიზში გაიმართა კომიტეტის სხდომა. კომიტეტმა ცნობად მიიღო ჩვენს მიერ წარდგენილი სამი კანდიდატის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია, იმსჯელა და სამპირიანი სია ცნო დასაშვებად“.**

მისივე თქმით, გაიმართა კანდიდატებთან გასაუბრებაც და სია რომ ჩავარდნილიყო, კანდიდატებს გასაუბრებაზე არავინ მიუშვებდა.

ამიტომაც სიის ჩავარდნის შესახებ ინფორმაცია არის ტყუილი. გაესაუბრნენ კანდიდატებს. შემდეგ გადაწყდა, რომ რაკი მოქმედ მოსამართლეს თებერვალში ეწურება ვადა, კანდიდატებს კენჭი ეყაროს იანვარში. ჩვენ, მთავრობას, არსად არ გვეჩქარება. დღესაც რომ არჩეულიყო ამ სამიდან ერთ-ერთი, ვერ დაიწყებდა საქმიანობას, რადგან მოქმედი მოსამართლე სახეზეა და მას ვერავინ ვერ შეეხება თებერვლამდე. ესაა სიმართლე და ნამდვილი ახალი ამბავი!..

**ბატონო ომარ, კალამი ამაღებინა თქვენმა მართალმა, გულის ძირამდე ჭეშმარიტმა სიტყვამ.**

პირველი სტრიქონიდან ბოლომდე, ძირის ძირამდე გულალალად, თანაც ტკივილიანად, ჩვენი დღევანდელობის სრული ჭეშმარიტებით ამსახველმა თქვენმა წერილმა არა მარტო ჩემი, მთელი ჩემი სამეგობროს დიდი ინტერესი გამოიწვია.

და გაგვიჩნდა ეჭვი თუ შიში, რომ ამ წერილს ბატონ ბიძინას დაუმალავენ, არ აჩვენებენ, არ წაკითხებენ, რადგან როგორც ხელისუფლებაში, სამთავრობო წრეებში, „ოცნებაში“, ისე ბატონ ბიძინას გარემოცვაში მრავლად არიან ნაციონალ-ჯაშუშები შეპარულნი, ამადაცაა საზოგადოება „ნაციონალური“ სენით დასნეულებული, ამიტომაც არის, ქვეყნის დამანგრეველი ნაციონალი ლიდერები ასე ხმალშემართულნი რომ იბრძვიან დასაბრუნებლად (თუნდაც ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორი, მოძალადე, მძარცველი, ყაჩაღი დავით კირკიტაძე და ათობით მისთანანი), ამიტომაა ბატონ ბიძინას მიერ ერთხელ გადარჩენილი საქართველო ისევ გადასარჩენი, თუნდაც ამ არჩევნების ჟამს.

ისე კი მარტო ბიძინას, ერთ კაცს ნუ დავავალდებულებთ, ყველაფერს მას ნუ ავკიდებთ.

ბატონო ომარ, საჭიროა როგორც თქვენ, ასევე სხვებმა, ასებმა და ათასებმა, თქვენსავით გულმხურვალე მამულიშვილებმა ხმა აიმაღლონ, ჩირგვებიდან გამოძვრნენ, ჩურჩულ-ბუზღუნის ნაცვლად ვაჟკაცურად შემოუძახონ და ერი გამოაფხიზლონ.

არადა, ძალიან, ძალიან ბევრია „მიშიზმის“ მძიმე სენით დაავადებული.

ქართველებო, გამოფხიზლდით!

დროა, სიმართლეს თვალებში შევხედოთ.

**გივი ჯაახუა,**
**მწერალი, დამსახურებული ჟურნალისტი, დავით კლდიაშვილის, სერგეი მესხისა და საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიების ლაურეატი, რუსთავის საპატიო მოქალაქე.**

# დროა, სიმართლეს თვალებში შევხედოთ!

## ბატონ ომარ მარგველაშვილს!

ჩემთვის სათაყვანო ბატონი ბიძინა ივანიშვილის ყურმისაწვდენად!

# როგორ ღალატობდა ირაკლი ალასანია ბიძინა ივანიშვილს?!

**ირაკლი ალასანია ჯერ კიდევ თავდაცვის მინისტრი იყო, როცა ბიძინა ივანიშვილს პროვოკაციას პროვოკაციაზე უწყობდა. ჯერ იყო: „ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ?“ — ანუ ცნობილი ფარული ჩანაწერი, სადაც აშკარად ჩანს, რომ ამერიკული სპეცსამსახურების მიერ „გაბლატავებული“ ალასანია უკმაყოფილოა ბიძინა ივანიშვილით, რას აკეთებს და რა უნდა, ვერ გამიგიაო. იმ ეტაპზე, 2012 წლის არჩევნების წინა პერიოდში ივანიშვილის კარზე მას სერიოზულ ფიგურად არ თვლიდნენ, მაგრამ ამბიციები ნამდვილად აწუხებდა. არადა, ქართველი ხალხის ნდობის მოსაპოვებლად რამდენიმე ამერიკელი ჩინოვნიკის მფარველობა სულაც არ არის საკმარისი.**

მაშინ ალასანია პრემიერ-მინისტრობაზე არ (ვერ) ფიქრობდა, მაგრამ სამეგრელოში არჩევნების მოგებაზე ნამდვილად ჰქონდა პრეტენზია. თუმცა აქ ერთი რამ უშლიდა ხელს — შიში. ამიტომ, ზუგდიდში ჩასულს ისეთი კაცი სჭირდებოდა, რომელიც ხელს მოჰკიდებდა და ქუჩა-ქუჩა ატარებდა. ეს მისია ერთი ხანობა კახა მიქაიამ შეასრულა, მაგრამ არჩევნები მაინც ვერ მოაგებინა, ერთხელაც ყელში ამოუვიდა და პირდაპირ მიახალა: არც შენი პარტიის წევრი ვარ, არც „ქართული ოცნების“ აქტივისტი, ვერ გავიგე, მუდმივად რატომ უნდა გდიო კუდშიო?!

ირაკლი ალასანიამ არჩევნები წააგო, როლანდ ახალაიას დანებდა. ამან ბიძინა ივანიშვილი გააცოფა. მოგვიანებით ისიც გაირკვა, რომ მისი ფონდიდან საარჩევნოდ წაღებული მილიონები არცთუ პატიოსნად დაიხარჯა. ივანიშვილმა ანგარიშის ჩაბარება და ახსნა-განმარტებები მოითხოვა, ალასანიამ რაღაც მოახლაფორთა, თითქოს თავი გაიმართლა და ივანიშვილმაც ვითომ დაუჯერა. არადა, მას იმ ეტაპზე სხვა გზა არ ჰქონდა — ჯერ ერთი, შიდა დაპირისპირებას მოერიდა და მეორეც — ალასანიას ამერიკელ მამებს ანგარიში გაუწია. გაიხსენეთ, როგორ ჩავიდა ზუგდიდში არჩევნების დღეს ამერიკის ელჩი რიჩარდ ნორლანდი და როგორ დაუჭირა მხარი ირაკლი ალასანიას. მაშინ თქვეს, ზუგდიდში ახალაიები პროვოკაციების მოწყობას აპირებდნენ და რაკი ნორლანდი ჩავიდა, გადაიფიქრესო. „ნაციონალებმა“ სამეგრელოში თავიანთი საქმე მაინც გააკეთეს, არჩევნები მოიგეს, მართალია, ალასანიამ წააგო და ამ წაგებაში დიდი ფულიც წაიღო, ამის გამო ბიძინა ივანიშვილისგან საყვედურები და „ყვითელი ბარათიც“ მიიღო, მაგრამ მისთვის ეს ტრაგედიას არ წარმოადგენდა, ვინაიდან კოალიციის საარჩევნო სიაშიც ჰყავდათ შეყვანილი, პარლამენტის წევრი მაინც გახდა.

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ირაკლი ალასანიას თავდაცვის მინისტრად ნიშნავს. ძალიანაც არ სიამოვნებს ამისი გაკეთება, მაგრამ ისევ ვიღაცას და რაღაცას უწევს ანგარიშს. უფრო მეტად კი, არ უნდა, დასაწყისშივე დაპირისპირების და კინკლაობის ატეხვა. ალასანიას ამბიციები ამ ეტაპზე თითქოს დაკმაყოფილებულია, მაგრამ მაინც არ ისვენებს, დამოუკიდებლობა სწყურია, ბოლოს და ბოლოს, მიაჩნია, რომ რეიტინგული ფიგურაა და ასევე რეიტინგული პარტიის თავმჯდომარეა. ამასთან, თავისი ამერიკელი პატრონები აქეზებენ, რომ საკუთარ იმიჯსა და პოლიტიკურ მომავალზე იფიქროს. ვინაიდან მან კარგად იცის, ჯერჯერობით ივანიშვილის რეიტინგს ვერც კი მიუახლოვდება, იწყებს დაუმორჩილებელი მინისტრის როლის მორგებას — აფორმებს მივლინებებს ჯერ საფრანგეთში, შემდეგ კი დუბაისა და თურქეთში, სადაც ხვდება საეჭვო პირებს, ანუ „ნაციონალებს“. ბიძინა ივანიშვილი ისევ ცოფდება, მას პირდაპირ მთავრობის სხდომაზე ეკითხება: ირაკლი, ასე რომ დადიხარ უცხოეთის ქვეყნებში, როგორც პრემიერ-მინისტრმა, ამის შესახებ არაფერი უნდა ვიცოდეო? ალასანია ისევ იწყებს თავის მართლებას, მაგრამ ივანიშვილი არ ტყუვდება. ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ყველაფერს ამბობს. ალასანია ავანტიურას გაანგრძობს — მას ამბიციები და პოლიტიკური მადა ეზრდება. „ენდიაის“ ყოფილ დირექტორთან ჩაწყობილი რეიტინგის გამოქვეყნების შემდეგ იჯერებს, რომ საქართველოში ყველაზე პოპულარული ფიგურაა. ამერიკელებმა იციან, როგორ შეგაყარონ თვალებში ნაცარი და ხშირად უმართლებთ კიდეც.

ბიძინა ივანიშვილის გადადგომის შემდეგ ალასანია ისევ ურჩობს, მაგრამ ამჯერად ირაკლი ღარიბაშვილს ურტყამს. მაგალითად, როდესაც ის ლაპარაკობს, რომ საქართველოში NATO-ს სარაკეტო სისტემები უნდა განლაგდეს, ძალიან კარგად იცის, ამ განცხადებას რა რეაქციაც მოჰყვება, მაგრამ მაინც მიდის პროვოკაციაზე. მერე რა, თუკი ამის შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილს უწევს უცხოეთში განმარტებების გაკეთება და თავის მართლება? დიახ, თავის მართლება, რადგან სარაკეტო სისტემების განლაგების შესახებ თვით NATO-ს შტაბბინაშიც კი არაფერი იციან. როგორც ერთ-ერთი მოქმედი მაღალჩინოსანი ამბობს, სირიელი მეამბოხეების ტრეინინგ-ცენტრის გახსნის იდეაც პროვოკატორ ალასანიას ეკუთვნის. რა იყო ეს, მორიგი ავანტიურა თუ დაგეგმილი პროვოკაცია? ინკოგნიტო წყაროს აზრით, ეს არის ერთიც და მეორეც:

**„ვილაპარაკოთ ფაქტებით: ირაკლი ალასანიამ მაშინ თავის მოადგილეს, მიშა დარჩიაშვილს დაავალა ამერიკულ პრესაში სტატიის განთავსება პრემიერ ღარიბაშვილის ამერიკაში ჩასვლამდე. მიზანი იყო მისი უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება ამერიკელებთან. მიშა დარჩიაშვილი არის გიგა ბოკერიას უახლოესი მეგობარი და ყოფილი ელჩის თემურ იაკობაშვილის ყოფილი მოადგილე. საუბარია იმ პერიოდზე, როცა იაკობაშვილი ელჩი იყო ამერიკაში, კერძოდ გაერო-ში. სწორედ ეს დარჩიაშვილი დაუკავშირდა საელჩოში თავის ნაცნობებს და მათი მეშვეობით დაიგეგმა სპექტაკლი. ერთი მხრივ, გააბითურეს ელჩი — არჩილ გეგეშიძე, ხოლო მეორე მხრივ, საქმე გაუფუჭეს ირაკლი ღარიბაშვილს. გეგეშიძე დააპატიჟებინეს ერთ-ერთ მიღებაზე, სადაც სპეციალურად მიიყვანეს ჟურნალისტი, რომელიც არის საელჩოში მომუშავე ერთ-ერთი ქალის ახლობელი და ასევე გიგა ბოკერიას ნაცნობიც. სწორედ მათი ერთობლივი დაგეგმვის შედეგად დაბეჭდეს სტატია, სადაც ჩვენი ქვეყნისთვის არასასიამოვნო აქცენტები იყო გაკეთებული და ძირს უთხრიდა ირაკლი ღარიბაშვილს. საქართველოს მთავრობამ ძლივს აიცილა საფრთხე. ალასანიას ადრე NATO-ს რაკეტების განთავსება უნდოდა, ყოველ შემთხვევაში, ამით სპეკულირებდა. კი მაგრამ, სად არის NATO-ს რაკეტები, რატომ არ ჩამოიტანა ალასანიამ ზურგით და არ განალაგა საქართველოში? ეს ყველაფერი იყო ბლეფი. შემდეგ სირიელი ტერორისტების ტრეინინგ-ცენტრის გახსნაზე დაიწყო ლაპარაკი. ეს კაცი მტერია, პირდაპირ თამაშობს მიხეილ სააკაშვილისა და გიგა ბოკერიას თამაშს. სირიელ ამბოხებულებთან დაკავშირებითაც ღარიბაშვილს მოუწია სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა, მან გააკეთა განმარტებები, სადაც საჭირო იყო. ალასანია პარიზში ფარულად კეზერაშვილსაც შეხვდა, იქ დიდ ფულზეც იყო ლაპარაკი, დაახლოებით 5 მილიონ დოლარზე. არ დაგიმალავთ, არსებობს ფარული ჩანაწერებიც“.**

ირაკლი ალასანია ჯერ კიდევ ოცნებობს ბიძინა ივანიშვილის გასტუმრებაზე და ჰგონია, 8 ოქტომბერს ამას შეძლებს. ძალიან ბედნიერად გრძნობდა თავს, როცა ირაკლი ღარიბაშვილი გადადგა. ამჯერადაც იტყუებს თავს, რომ უმრავლესობით მოვა ხელისუფლებაში და ორივე ყოფილ პერმიერ-მინისტრს ათმაგად აზღვევინებს მის ჩაძირვას და ბოლომდე „გაფარჩაკებას“. რატომ არ წავიდა ხელახლა ალასანია, რატომ არ იყრის კენჭს სამეგრელოში? იქ 2012-ში ისე შეაშინეს, ახლა გორში გავარდა, თითქოს იქ 99-პროცენტიანი მიღწევა ექნება.

**expressinfo.ge**

# რატომ დააპატიმრა სააკაშვილმა 5 ქართველი მფრინავი?!

**მიხეილ სააკაშვილის** გარემოცვას ადამიანების თავიდან მოშორებისა და გაუბედურების განსაკუთრებული სქემა ჰქონდა შემუშავებული. დიახ, ამ 9 წლის განმავლობაში ჩვენს თვალწინ გაირბინა არაერთი „ჯაშუშის“ სახემ, ჩვენს თვალწინ დააპატიმრეს სამშობლოს არაერთი „მოღალატე“. სანამ კონკრეტულ საკითხზე გადავიდოდეთ, ვნახოთ, რა საბრალდებო დასკვნა „იკერებოდა“ ყველა ე.წ. ჯაშუშის წინააღმდეგ:

**„ბრალი ედება მასში, რომ მან ჩაიდინა ჯაშუშობა, ე.ი. საქართველოს ინტერესის საზიანოდ უცხო ქვეყნის დაზვერვის დავალებით საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების, ცნობების, სხვაგვარი მონაცემების და სხვა ინფორმაციის შეგროვება და გადაცემა, რაც გამოიხატა შემდეგში: საქართველოს მოქალაქე (ესა და ეს), გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში გადაბირებული იქნა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლების მიერ და აგენტურულ კავშირზე იმყოფებოდა მათთან, რომელთა დავალებით მოიპოვებდა, აგროვებდა და გამოძიების ამ ეტაპზე დაუდგენელი არხებით სისტემატურად გადასცემდა მათ სხვადასხვა ხასიათის სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებს და სხვა სახის ინფორმაციებს“.**

ამ ბრალდებით, გლდანის მე-8 საპყრობილეში სასჯელს იხდიდა 13 ადამიანი, გახმაურდა 9 საქმე. აქედან 5 ქართველი მფრინავი გახლდათ. ისინი მონაწილეობდნენ 2008 წლის აგვისტოს საომარ მოქმედებებში.

დაუკვირდით, გამოძიებამ არ იცოდა, როდის და რა ვითარებაში გადაიბირა, მაგალითად, შაქრო ქიბროწაშვილი რუსეთის დაზვერვამ. გამოძიებამ არც ის იცოდა, კონკრეტულად ვის და რა არხებით, ან რა საიდუმლო მასალებს გადასცემდა იგივე შაქრო რუსეთის დაზვერვას. ფაქტობრივად, გამოძიებამ არაფერი იცოდა ბრალდებულის სახელისა და გვარის გარდა, მაგრამ მაინც აცხადებდა ქვეყნის მოღალატედ!

ახლა კი მათი ვინაობა, ვინც გლდანის საპყრობილის კედლებს ხეხავდა წლების განმავლობაში უსუსური და არაფერისმთქმელი ბრალდების გამო:

1. ედუარდ აბდულაევი. დაბადებული 1963 წელს, ქალაქ ბათუმში. ეროვნებით აზერბაიჯანელი; 2. არმენ გევორქიანი. დაბადებული 1971 წელს, ქალაქ ბათუმში. ეროვნებით სომეხი; 3. რუბენ შიკოიანი. დაბადებული 1964 წელს, ქალაქ ბათუმში. ეროვნებით სომეხი; 4. ტარიელ აბაშიძე. დაბადებული 1976 წელს, ქალაქ ბათუმში, ეროვნებით ქართველი; 5. გელა კაკაბაძე. დაბადებული 1975 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ საჩინოში. ეროვნებით ქართველი; 6. დავით მესხიძე. დაბადებული 1967 წელს, ქალაქ ბათუმში. ეროვნებით ქართველი; 7. გოჩა დიასამიძე. დაბადებული 1975 წელს, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალსოფელში. ეროვნებით ქართველი; 8. რუსლან გალოგრე. დაბადებული 1948 წელს, ქალაქ ბათუმში. ეროვნებით ქართველი; 9. იური სკრილნიკოვი. დაბადებული 1948 წელს. ეროვნებით რუსი. რუსეთის მოქალაქე.

ეს საქმე მოინათლა, როგორც „ენვერი-2“ და დაედო „გრიფით საიდუმლო“. საბრალდებო დასკვნას ხელს აწერს საქართველოს მთავარი პროკურატურის საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორი, მ. ბერეკაშვილი. როგორც ხედავთ, პროკურორის თანამდებობას ძალიან ჩიქორთული და აბდაუბდა დასახელება ჰქონდა, არ გაგიკვირდეთ, მიზანიც სწორედ ეგ იყო, რომ ვერაფერი დაგემახსოვრებინათ, ვერაფერი დაგენახათ და რასაც გეტყოდნენ, ის უნდა გეღიარებინათ. მფრინავი იყავი, მენახირე იყავი, სანტექნიკოსი თუ პროფესორი, ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა. სხვათა შორის, დაკავებულთაგან ერთ-ერთი მართლა „კაფელშიკი“ გახლდათ.

აქედან, ვიაჩესლავ პლუჟნიკოვის საქმე ცალკე გამოყვეს, ხოლო გენადი ჰაიდაროვმა, მიხეილ კვაჭანტირაძემ და გაბრიელ უსტალიშვილმა თითქოს ითანამშრომლეს საქართველოს დაზვერვასთან, ამხილეს დანარჩენები და რა პირობით გაუშვეს, კაცმა არ იცის.

აი, ასეთ საბრალდებო დასკვნებს „კერავდა“ მიხეილ სააკაშვილის გარემოცვა: „დაუდგენელ დროს, დაუდგენელ ვითარებაში, დაუდგენელ პირებთან და ასე შემდეგ“. რამდენი ადამიანი გააუბედურა მიხოს სისტემამ, ეს თავადაც კარგად იცით!

**თათული ზენგელია**

***ნაციონალებისგან** ქართველებისთვის მიყენებულ უამრავ ტკივილთან, შეურაცხყოფასთან, დამცირება-აბუჩად აგდებასთან ერთად, ერთ-ერთი გახლდათ საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სათავეში მეტად უგვანი და მიუღებელი პიროვნების დავით ბაქრაძის წამოსკუპება. რამდენიმე უსიამოვნო თვისების ჩამოთვლა სრულიად საკმარისია მის დასრულებულად წარმოსაჩენად: მუდმივად და უადგილოდ, გაუგებრად მომღიმარი, ულიმღამო, გულისამრევად მლიქვნელი, მხდალი, ქვეშქვეშა და მუზმუზელა, სახიფათოდ მზაკვარი, ქვემძრომი და ფეხის დამდები, უმადური და დაუნახავი... ყველანაირი სასვენი ნიშნების გამოუყენებლად და მონოტონურად მოდუდუნე ბაქრაძე, საბჭოეთის დროინდელი ცეკა-ტეკას აპარატების დაშტამპული ინსტრუქტორების კლასიკური განსახიერებაა.*

*ყველა ამ არაკაცურ თვისებას, საჭიროების შემთხვევაში პირადული საკითხების მოსაგვარებლად და, რაც მთავარია, კარიერის მოსაგვარებლად, გასაკვირი უნარით ნიღბავს და იყენებს, ამაზრზენი ლაქიობით იწყებს საჭირო მაღალჩინოსნების ფეხებთან ფორთხვასა და გორაობას. სწორედ ასე მიაღწია ზემოხსენებული თანამდებობის სავარძლამდე.*

ური „ქსივა" გააშანშალებინა.

აი, ამგვარი საზიანო საქმეების კეთებით გახლავთ დაკავებული გულისამრევი ქვეშქვეშა და მუზმუზელა დათიკუნა. და, ასეთნაირად თუ არ გაირჯება, უსტაბაში მიშიკა უმალ წესს აუგებს ფეხებთან მოგორავე საბრალო ნაცკაცუნას.

წინსვლასა და გადიდკაცებასთან ერთად, ძალამოსულმა უმადურმა და დაუნახავმა ყოფილმა ქლესა ხელისბიჭმა, თანდათან ზურგი აქცია თავის საიმედოდ დამკვალიანებელ პარლამენტის თავმჯდომარე ქალბატონს.

**ნინო ბურჯანაძე: „ბაქრაძე ჩემი რეკომენდაციით არ დარჩა უმუშევარი და გახდა პარლამენტის თავმჯდომარე. 7 აგვისტოს, სამების ტაძარში არც კი მომესალმა, შეეშინდა ჩემთვის გამარჯობის თქმა.**

**ნორმალური ცოლი ჰყავს და რომ წაიკითხავს, მის ქმარს ბურჯანაძისთვის სალმის მიცემა შეეშინ-**

უჯეტის გაქურდვა? და, მარტო ეს?

**გაზეთი „ილორი", 2012 წელი, №195: „დავით ბაქრაძის მეუღლეს ეგვიპტეში დასასვენებლად ყოფნისას, მობილური ტელეფონით სარგებლობისთვის, ბიუჯეტის ხარჯზე გადაერიცხა 20 000 ლარი(!). სამხრეთ აფრიკაში, საფარიზე დროის გასატარებლად დავით ბაქრაძე და მისი მეუღლე იმყოფებოდნენ სხვა ქართველ მაღალჩინოსნებთან ერთად. ამ ეგზოტიკური გრიალის ფული კი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო!"**

როგორც ყველა ნამყენ ნაციონალს, ქვედა ტუჩჩამოვარდნილ ნაცკაცუნა დათუნიასაც, საქართველო და ქართველები, თავისთვის და საკუთარი მოდგმის, ამქვეყნიური სიკეთეებით ტკბობისა და მოხვეჭის, ნეტარი ცხოვრების შესაქმნელ საშუალებად აქვს დაგულებული. არც არის გასაკვირი, მათთვის ხომ ყველაფერი იყო ნებადართული და ხელმისაწვდომი.

ნაცმენი

# პატიოსნების მოთამაშე შეუპატიოსნო სპიკერყოფილი

**რეზო ამაშუკელი, პოეტი: „საააკაშვილის მექანიკურ თოჯინას რომ ჰგავს პარლამენტის თავმჯდომარე. წინ პატარა მუცელი რომ მოუძღვის და მოპაკიპუკობს დავით ბაქრაძე" („ასავალ-დასავალი", 2001 წ. №1).**

შედარების უბადლო, შეუმცდარ გამომძებნელს, ჩინებულ პოეტს, არც ამჯერად შეეშალა.

დედისერთა ნებიერა დათუჩელამ პირველი საშუალო სკოლა დაამთავრა. სტუდენტობის დროს მონაწილეობდა „კავეენში", სპექტაკლებში. უკრავს ფორტეპიანოზე და გიტარაზე. ჰყვარებია ქეიფი და... თამადობა. არადა, ძნელი წარმოსადგენია, ესოდენ უნდილი და უგემური არსება ღვინით სავსე ჭიქითა და ყანწით ხელში სადღეგრძელოების წარმომთქმელი და... ბოლომდე დამცლელი!

კიდევ, ეხერხება სადილების კეთება, განსაკუთრებით ხინკლის. უყვარს ლუდი, არ უყვარს რესტორნებში სიარული. არ ცეკვავს.

დავით ბაქრაძისთვის დასაწყისი წარმატებული გამოდგა, რადგან მფარველად და ხელის წამკვრელად, პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მოევლინა. ამიტომ, თქმა არ უნდა, ყველაფერი ისე წარიმართებოდა, როგორც წარმატებული კარიერული წინსვლისთვის იქნებოდა საჭირო. მით უფრო, რომ იგი მორჩილი, უფრო სწორედ, ყველანაირი დავალება-ბრძანების პედანტურად შემსრულებელი, ქვეშქვეშა ხელისბიჭი იქნებოდა.

მერე, საააკაშვილის „კამანდით" დაინტერესდა და მათს საქმიანობაში გარკვეულმა, ნაციონალებისა და მათი „გენსეკის" ნდობა დაიმსახურა და უყოყმანოდ ჩააბარეს საქართველოს დასაქცევად წარმოებულ ანტისახელმწიფოებრივ საქმეთა კეთების აჩქარებულ მარათონში.

**შალვა ნათელაშვილის საარჩევნო გაზეთი „სიმართლე"; 2008 წელი, მაისი:**

**„დავით ბაქრაძე კარიერის დასაწყისში ოფიციალურად უჭერდა მხარს აფხაზეთის აღიარებას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ".**

როგორც ნაციონალი და საქართველოს გამყიდველი, აბა სხვანაირად როგორ მოიქცეოდა? და, თუნდაც, მღილისოდენა სხვა რამ გაეფიქრებინა, მიშიკა უმალ გააქრობდა და მისი სახსენებელი აღარ იქნებოდა!

განსაკუთრებით გამოიჩინა თავი და ნაცბანდის მოწონება საააკაშვილის საარჩევნო შტაბის სპიკერად გამწესებისას მოიპოვა. მაშინ უნაკლოდ გაართვა თავი სიყალბისა და სიცრუის დანაშაულებრივ, დასაგმობ აქციას; ბინძური და სხვა ყველანაირი საქმის კეთებისა და ავკაცობის შემძლებ, საგრძნობი წილი ჩაიდო საააკაშვილისგან ხელისუფლების მიტაცებაში.

საქართველოსა და ქართველი ხალხის ღალატისთვის დავით ბაქრაძე საგარეო საქმეთა მინისტრობით დაჯილდოვდა. ასე დაიწყო ქვეყნის დამაქცევარ-დამნელებელთა ნაციონალური ჯოგის ახალშენაძენის სამსახურებრივი წინსვლა. აღზევების პროცესი ძალიან სწრაფად განვითარდა. მცირე ხნით, სახელმწიფო მინისტრი გახლდათ კონფლიქტების მოგვარების საკითხებში და მისმა მაშინდელმა საქმიანობამ კიდევ უფრო გაამწვავა და გააუარესა, არსებული უმძიმესი დამანგრეველი მდგომარეობა. თუმცა, მოსთხოვა ვინმემ პასუხი? პირიქით, ალბათ, გვარიან ხელფასთან ერთად, მოზრდილ პრემიებსაც იჯიბავდა. გარკვეული ხნით, უშიშროების საბჭოშიც მოუწია „ღვწა" და თქმა არ უნდა, მაშინაც ქვეყნის საზიანო და ანტისახელმწიფოებრივ საქმეთა კეთებით იყო დაკავებული.

**გიგა ბუკია; პარლამენტარი: დაო, არ შერცხვება ცოლის? („ქრონიკა", 2009 წ. №33).**

ჯერ ერთი, სატანასთან წილნაყარ მოკლეფეხება და ტუჩჩამოვარდნილ არსებას წმინდა ტაძარში რა უნდოდა?

მეორეც კიდევ, ნაციონალი და სირცხვილი?.. არაკაცი ბაქრაძე ხომ მთლიანად დაცლილ-დაწრეტილია სინდის-ნამუსის, კაცობისა და ადამიანობისაგან?

2008 წლის მორიგ უკანონო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაზე ქალბატონ ნინო ბურჯანაძისგან უარის თქმის მერე, ნაციონალური მოძრაობის პირველ ნომრად დავით ბაქრაძე დასახელდა, რაც სპიკერად გამწესების წყალგაუვალ გარანტიას ნიშნავდა. მართლაც, „გამარჯვების მოპოვებისთანავე", საააკაშვილმა მორჩილი ხელქვეითი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარედ დანიშნა. ფაქტობრივად,

და, მოიხმარდნენ კიდეც უკლებლივ ყველაფერს, როდის რა დასჭირდებოდათ, როგორც მოესურვებოდათ და რა რაოდენობითაც, შინ თუ ქვეყნის გარეთ.

სამაგიეროდ, ხაზინის დიდი ნაწილის შემავსებელ გაღატაკებულ რიგით ადამიანებს, არამცთუ ექიმთან მისვლა, იაფფასიანი წამლის შეძენაც არ შეუძლიათ. თუმცა, სად გაუბედურებულ-გაღატაკებული პატიოსანი ადამიანები და სად კიდევ, ნაციონალური ჯოგის რჩეული არაკაცი, პარლამენტის ყოფილი „არიელი" თავმჯდომარე.

2013 წლის 6 თებერვალს, ტელეკომპანია „კავკასიით" გამოსვლისას, თბილისის მერიის გარე განათების სამსახურის თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ გიგი უგულავამ მათთან სამუშაოზე, სხვა ნაციონალ „ასებთან" ერთად, ელექტრომონტიორად გააფორმა დავით ბაქრაძის მეუღლე მაკა მეტრეველი. იგი, თურმე, იქ არავის უნახავს, ხელფასს კი 2500 ლარს იღებდა! ალბათ, პრემიებსაც და სხვა რამ დამატებებსაც. სხვათა შორის, იქ მომუშავე, უაღრესად სახიფათო სამუშაოების შემსრულებელი ელექტრომონტიორების ხელფასი კი თურმე 650 ლარი ყოფილა!..

2014 წლის 20 აგვისტოს, ქართულმა ტელეარხებმა ინფორმაცია გაავრცელეს ნაცკაცუნა ბაქრაძის სიმამრის, ვინმე ლერი მეტრეველის პროკურატურაში ფინანსურ საკითხთან დაკავშირებით გამოძახებაზე. მაშინ, ერთობ ბუნდოვნად და გაურკვევლად ითქვა, რომ თბილისის რომელიღაც რაიონში გაყიდული სახლის ფული – 275 ათასი გირვანქა სტერლინგი, საქმოსან სიმამრს მხოლოდ ბრიტანეთის ბანკისთვის მიუბარებია შესანახად. თანაც, იმ პირობით, რომ შვილიშვილების სრულწლოვანი ასაკის მიღწევამდე, ხელუხლებელს დატოვებდა. ადვილი წარმოსადგენია, წლების განმავლობაში, რამდენი პროცენტი დაერიცხება მიბარებულ თანხას და რამხელა ფულს ჩაიბარებენ აღებ-მიცემობაში და ჩარჩვაჭრობაში გაქნილ-გაწაფული ბაქრაძე-მეტრეველები. მათთვის თურმე, აღარც დოლარს და აღარც ევროს ჰქონებია ფასი.

2014 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ბაქრაძეების ოჯახის

**საქართველოსა და ქართველი ხალხის ღალატისთვის დავით ბაქრაძე საგარეო საქმეთა მინისტრობით დაჯილდოვდა. ასე დაიწყო ქვეყნის დამაქცევარ-დამნელებელთა ნაციონალური ჯოგის ახალშენაძენის სამსახურებრივი წინსვლა. აღზევების პროცესი ძალიან სწრაფად განვითარდა. მცირე ხნით, სახელმწიფო მინისტრი გახლდათ კონფლიქტების მოგვარების საკითხებში და მისმა მაშინდელმა საქმიანობამ კიდევ უფრო გაამწვავა და გააუარესა, არსებული უმძიმესი დამანგრეველი მდგომარეობა.**

**„დავით ბაქრაძე ევროპაში მავნებლურ საქმიანობას ეწევა. იგი ევროპარლამენტში და სხვაგანაც მართავს შეხვედრებს და ყველაფერს აკეთებს, რომ იქ საქართველოსთვის სასარგებლო გადაწყვეტილებები არ მიიღონ" („ახალი თაობა", 2015 წ. №273).**

2014 წლის სექტემბერში, მიშიკას სათამაშო თოჯინა ბაქრაძე, თავისნაირ გამყიდველ, მოღალატე გიგა ბოკერიასა და გიორგი კანდელაკთან ერთად, თავის საშველად ამერიკაში ეახლა მფარველ მამიკო ჯონ მაკკეინს. ცხადია, გარეწრები ხელცარიელები არ მივიდოდნენ, მოპარული ფულით გაახარებდნენ ფულზე დაქიმითებულ სენატორს. შედეგმაც არ დააყოვნა: სახელმწიფო დეპარტამენტის კლერკებს საქართველოს ყოფილი მაღალჩინოსნების „დევნა-დაპატიმრების" მაუწყებელი ბინძ-

ამით მიშიკამ, სპიკერობაც შეითავსა და კიდევ უფრო გათავხედებულმა, საკუთარი ავადმყოფური ილუზიების შესრულების ნებაზე აათამაშა, იქ შეყრილი „კანონმდებლების" ხროვა.

2012 წელს, თბილისში გამართული მოდების ჩვენების კვირეულისთვის, რომელსაც ბაქრაძის მეუღლე მაკა მეტრეველი ხელმძღვანელობდა, ბიუჯეტიდან 40 000 ლარი გამოიყო(!).

საინტერესოა, ნეტავ მსოფლიოში აღიარებული კუტიურეები ლაგერფილდი, დოლჩე და გაბანა, არმანი და სხვები ამხელა თანხებით „საჩუქრდებიან" თავიანთი ქვეყნების ბიუჯეტებიდან?.. გჯერა, რომ იქ მსგავსი არაფერი ხდება. მაშ, რატომ შევარჩინეთ ნაცკაცუნასა და მავნე ბაქრაძეს ჩვენი ფულით შეკოწიწებული ბი-

წევრებს ოთხ ბანკში ჰქონიათ გახსნილი 13 საბანკო ანგარიში. აქედან ორი, შვილების სახელებზეა გახსნილი და ჯამში 40 500 აშშ დოლარი ირიცხება. ხელფასის სახით წლის განმავლობაში „კანონმდებელმა“ დათუნამ 84 465 ლარი მიიღო. იმავე წელს, სახელმწიფო ჯილდოს სახით 6000 ლარი აქვს მიღებული. გარდა ამისა, ქუთაისში, მისი საცხოვრებელი პირობებით უზრუნველსაყოფად, ყოველთვიურად 833 ლარი ერიცხებოდა.

**ქვეშქვეშა ნაცკაცუნა დავით ბაქრაძეს თბილისში ორი – 213. კვ.მ. და 287 კვ.მ. ფართობის ბინები, 28. კვ.მ. ფართობის ავტოფარეხი და 339 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი აქვს („ახალი თაობა“, 2015 წ. №170-222).**

მოკლედ, ქვემძრომ და არამზადა ნაციონალ ბაქრაძეს საკმაოდ ხელშესახები უძრავი ქონება აქვს და ფულის ნამდვილი ტომარა ბრძანდება.

2008 წელი წარმოუდგენლად ტრაგიკული გამოდგა საქართველოსა და ქართველებისთვის. წარმოუდგენლად ღირსების შემლახველი და თავისმომჭრელი იყო დავით ბაქრაძის განცხადება, საკაკაშვილის მიერ რუსეთთან ომში ჩაბმის დღეს, 8 აგვისტოს. საკუთარი ოჯახის ქვეყნებიდან გახიზვნის მერე, ქართველებს, სამშობლოს დაცვა ფიწლებით, კეტებით, კოვზებითა, ჩანგლებით და უთოებით რომ მოუწოდა.

თვითონ გარბოდნენ და ხომ წარმოგიდგენიათ რა განძს ეზიდებოდნენ საზღვრისკენ სამშობლოსა და ხალხის გამძარცველი ყაჩაღი ნაციონალები. ამითი უნდა ეცხოვრათ უცხოეთში უზრუნველად, იქაურ ბანკებში მიბარებულ მილიონებთან ერთად.

ისიც ხომ წარმოგიდგენიათ, რა სანახავები იქნებოდნენ თანამეცხედრეების ბიკინებში გამოკვართული ნაცკაცუნები: ბაქრაძე, ბარამიძე, გაბაშვილი, ხაბაზი, თარგამაძე, მინაშვილი, მაჭავარიანი, კანდელაკი, წიკლაური, მალაშხია და ნაციონალური ნახირის სხვა არსებანი.

იმ ტრაგიკულ დღეებში და შემდეგაც, ქართულმა და საერთაშორისო საინფორმაციო საშუალებებმა, ბევრჯერ გვაუწყეს მიშიკას ნაცბანდის კუდამოძუებულ-თავქუდმოგლეჯილი წევრების ქვეყნიდან გაქცევაზე, რომელთა შორის პარლამენტის სპიკერის ჯალაბობაც მოიხსენიებოდა. სამშობლოსა და ერის მოღალატეები ჰერეთში, აზერბაიჯანის ოლიმპიურ სპორტული ბაზის კომპლექსში თავშეფარებულები, ფერწასულ-აცახცახებულები ელოდებოდნენ ვითარების გარკვევას – უკან დაბრუნდებოდნენ თუ ქართველებისგან წაგლეჯილი ფულით, უცხოეთში შეძენილ სამკვიდრებლებში გააგრძელებდნენ უზრუნველ ცხოვრებას.

თუმცა, არჩევანის გაკეთება აღარ მოუწიათ მოღალატე გამყიდველებს. ომის დაწყებიდან ორ დღეში კაპიტულაციის გამოცხადებისა და საქართველოს ტერიტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილების მტრისთვის ჩაბარების შემდეგ, შინ გულმოცემულები დაბრუნდნენ და დამარცხებულ-თავლაფდასხმულ „მხედართმთავართან“ ერთად, დამპყრობელზე „გამარჯვება“ იზეიმეს!

**გაზეთი „ეროვნული ფორუმი“, 2009 წელი, №1: „2008 წლის 11 სექტემბერი, ანუ ომის დასრულებიდან ერთი თვის თავი, როცა ქვეყანას ათეულათასობით ახალი ლტოლვილი ჰყავს და მათს დასაბინავებლად მთელს მსოფლიოს ფულს ემათხოვრება. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №592, რომელიც დღესაც ყველა დოკუმენტის საძიებო სისტემიდან ამოშანთულია. ბრძანებულების შინაარსი: საქართველოს პრეზიდენტი თავისი ფონდიდან, პარლამენტის თავმჯდომარისთვის სამსახურებრივი ავტომანქანის შესაძენად, 174,8 ათას ლარს გამოყოფს“.**

პრეზიდენტის ფონდი ქვეყნის ბიუჯეტიდან იქმნება და მისი შემადგენელი ნაწილია. მას სააკაშვილი თავის ნებაზე ფლანგავდა. და, არა მარტო მას, მთელი ბიუჯეტიც ხომ ჯიბის ფულად ჰქონდა შეგულებული და როდის რა მოეპრიანებოდა, იმდენს დახარჯავდა და ქარს გაატანდა.

ამიტომ, ავბედობის ჟამს, პარლამენტის „ნაჩალნიკისთვის“ ავტომობილის შესაძენად საგრძნობი თანხის გამოყოფა გასაკვირი არ არის. გასაკვირი და თავში საცემი, უფრო კი ტრაგედია, ის არის, ნაციონალებისგან დატრიალებული ბევრი სხვა უბედურებით თავბრუდახვეულმა საზოგადოებამ, ტრადიციულად რომ იყუჩა...

ჰოდა, ამის შემტყაპუნებელმა ქვეყნის დამაქცევრებმაც, უფრო მეტად გაუტიეს. ძნელია, ყველა იმ ავკაცობის ჩამოთვლა, რაც მათ მას შემდეგ ჩაიდინეს. ჩვენ კი ისევ გავჩუმდით.

...ქართველთმოძულე ნაცების უჯიშო „გენსეკის“ სათამაშო თოჯინა და ფეხისმტვერ ნაცკაცუნა დათუჩა ბაქრაძისგან ჩადენილ გამყიდველ-მოღალატური დანაშაულებიდან, კიდევ ერთი უპატიებელზე გვინდა გამორჩეულად ვთქვათ.

ქუთაისში პარლამენტის უსახური ნაგებობის ასაშენებელი ოთხასი მილიონიდან გვარიანი ფულის მომტეხველმა მიშიკამ, საბრალო სპიკერს, საკანონმდებლო ორგანოს იქ გადასვლის გამო, თბილისში არსებული შენობის სხდომათა დარბაზის განადგურების ბრძანებულება გააცემინა. და, ქვეშაფსია მონა-ლაქიამ უმალ აღასრულა დავალება. ამისთვის, მას აუცილებლად მოუწევს პასუხის გაცემა ქართველი ხალხისთვის.

**თენგიზ დიხამინჯია; საქართველოს უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი: „თუ სააკაშვილმა ბრძანება გასცა, ვილაც ხომ იყო შემსრულებელი, რატომ არ არის დასჯილი?**

**დავით ბაქრაძემ ათეულობით მილიონის ზარალი მიაყენა სახელმწიფოს, პარლამენტის შენობა რომ დაანგრია. რა უნდა ამის გამოძიებას?“ („ახალი თაობა“, 2014 წ. №309).**

**ლეონტი ბიწაძე; ინჟინერ-ეკონომისტი: „დავით ბაქრაძე ხელბორკილებით საბრალდებო სკამზე უნდა იჯდეს. სწორედ მისი მითითებით, მიზანმიმართულად განადგურდა პარლამენტის ყოფილ შენობაში დარბაზი და კომუნიკაციები, რომლის აღდგენაც დღეს 5 მილიონ ლარზე მეტი ჯდება“ („ილორი“, 2014 წ. №256).**

ეს არის ჩვენი, ქართველების დაუძლეველი ნაკლი და მიუღებელი თვისება: ყველა მნიშვნელოვანი საკითხისა თუ პრობლემის, უაღრესად საპასუხისმგებლო სახელმწიფოებრივი საქმეების მოგვარებასა და გადაწყვეტას სხვას მივანდობთ, განზე გავდგებით ხოლმე და გულხელდაკრეფილები ველოდებით, თანაც მრავალი წელი, ვიღაცებისგან მათს მოგვარებასა და სინით მორთმევას.

ეგრე არ არის ქართველებო და არ იქნების! ასეთი რამ სხვაგან არსად ხდება და ამას არავინ აკეთებს. ჩვენს საწუხარსა და სატკივარს სხვები არ მოგვიგვარებენ. პირიქით, ყველანაირად შეეცდებიან წიხლის დაჭერას, გათელვასა და სულის ამორთმევას, მერე თავად რომ დაინარჩუნონ ჩვენი სამშობლო, ღვთისმშობლის წილხვედრი სამოთხისდარი ქვეყანა!

**ჩვენს საწუხარსა და სატკივარს სხვები არ მოგვიგვარებენ. პირიქით, ყველანაირად შეეცდებიან წიხლის დაჭერას, გათელვასა და სულის ამორთმევას, მერე თავად რომ დაინარჩუნონ ჩვენი ჯვარცმული სამშობლო, ღვთისმშობლის წილხვედრი სამოთხისდარი ქვეყანა!**

**გავიღვიძოთ, ავმოქმედდეთ, გავისარჯოთ და თავი გადავირჩინოთ, ქართველებო!**

გავიღვიძოთ, ავმოქმედდეთ, გავისარჯოთ და თავი გადავირჩინოთ, ქართველებო!

ჰოდა, ღიპუკაწაგდებული კაცუნა, დაუღალავად დაპაკუნობს ქვეყნის ქალაქებსა და დაბა-სოფლებში. არაფრად აგდებს სიცხე-ხვატსა თუ წვიმა-ქარაშოტს და ხუთ ლარჩამორიგებულ ღონეგამოცლილ ათიოდე დედაკაცს შორის ჩამომჯდარი, უსირცხვილოდ „აბოლებს“ და ატყუებს პენსიის ორმოცდაათი ლარით „გაზრდის“. ზღაპრით. ეს მაშინ, როცა ქვეყნის გამძარცველ-დამნელებელი ქურდი და ბაცაცა, იმ ნაციონალურ-ჯოჯოხეთური ცხრა წლის განმავლობაში, გამალებული იჯიბავდა უმოწყალოდ სვეგამწარებული ადამიანებისთვის პენსიის გასაზრდელ ფულს.

„ჩვენ მოვიგებთ არჩევნებს და მოვალთ ხელისუფლებაში ხალხისგან არჩეული კომპეტენტური, მცოდნე ადამიანებით დაკომპლექტებული გუნდით, რომლის ამოცანა იქნება ქვეყანა გამოიყვანოს კრიზისიდან და მიხედოს ხალხს“ („ახალი თაობა“, 2016 წ. №103).– ჩასძახის ტანმოკლე ნაცკაცუნა, მისი ლაყლაყით ჩაძინებულ დედაბრებს.

**გია კორკოტაშვილი; საქართველოს მოქალაქე, ქართველი: „ნაციონალები, როგორც პარაზიტები, ისე უნდა განადგურდნენ, რომ კვალი აღარ დარჩეს მათი“ („ახალი თაობა“, 2016 წ. №48).**

**სხვა რაღა დავუმატოთ?**

**გელა ჯიღაური,**
**სექტემბერი, 2016 წელი.**

**P. S. ოდესაში ჩაბუდებულმა მიშიკამ ახლა სხვა, კიდევ უფრო საპასუხისმგებლო მისიის შესრულება დააკისრა ლაქია ნაცკაცუნას და ზუგდიდის დეპუტატობაგანაღდებული „სანუკვარი“ მეორე ნახევრის პირისფარეშობა უბოძა. სანაცვლოდ, „გამარჯვებისთანავე“, ხელმეორედ „გასპიკერება“ აღუთქვა ბეჩავ ხელისბიჭს.**

**და, იგიც, მუხლებზე მხოხავი, „კარატისტი“ რულოვსის უგემოვნო ფრანციფრუნც სამოსით გამოტენილი „გარდერობის“, ყოველდღიური მოხმარების ხარახურითა და ღამის ქოთნებით გავსებული ზანდუკის მცველი ფეხდაფეხ დასდევს თვალისჩინივით გასაფრთხილებელ, ბელადისგან ჩაბარებულ „განძსა და ნატვრისთვალისდარ“ ქმნილებას.**

**გ. ჯ.**

◎ **რეპლიკა**

# „ჩვენისთანა ბედნიერი კიდევ არის სადმე ერი?“

**145 წლის წინათ ასეთი, დღემდე პასუხგაუცემელი, შეკითხვით დაამთავრა ილია ჭავჭავაძემ თავისი ცნობილი ლექსი „ბედნიერი ერი“...**

ისე, რატომაც არ უნდა ვიყოთ, ვთქვათ, ბედნიერი, როცა აქამდე, ყვარყვარესი არ იყოს, ბნელში და წკვარამში ვყოფილვართ და ისიც კი არ ვიცოდით, რომ **თურმე,** აგერ, თბილისში გვყოლია „თანამედროვეობის უდიდესი პოეტი“! ხაზს ვუსვამ: იგულისხმება არა მხოლოდ საქართველოს სინამდვილე, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით – დიახ, დიახ, თანამედროვეობის უდიდესი პოეტი თბილისში ყოფილა და ისიც ქართველი. არა გჯერათ? ამაზე შარშან საგანგებო რეპლიკა გამოვაქვეყნე ჩვენს „ლიტერატურულ საქართველოში“ (20. II. 2015) და დღემდე თუ არ წაგიკითხავთ, ჩემო კარგებო, ახლავე გავარდით საჯარო ბიბლიოთეკაში, რას ნახავთ უკეთესს!

მაგრამ ეს, რომ იტყვიან, ჩვეულებრივი სტატისტიკაა – დღეს თუ ქართველი **ყოფილა** თანამედროვეობის უდიდესი პოეტი, ორიოდე ათეული წლის შემდეგ, ინგლისელი შეიძლება იყოს ან ესპანელი და ა.შ.

მაინც ვის ხვდა ეს პატივიო, იკითხავთ ახლა ჩვეულებრივ და თუ მართლა ვერ ხვდებით, ნახეთ, ბატონო, დასახელებული გაზეთის მითითებული ნომერი. ჰო, გვერდის მიწერა დამავიწყდა, ბოლო გვერდზეა, მეოთხეზე...

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ წლეულს რა სიახლეებიაო ამ მხრივ, ჩაგვეძიება მადაზე მოსული მავანი და ამასაც გულწრფელად მოგახსენებთ: ძალიან კი გამიჭირდა, ხომ იცით, ერთობ მოკრძალებული ხალხი ვართ, არ გვიყვარს აფიშირება და ა.შ. თუმცა მაინც მივაკვლიე ერთ უნიკალურ დოკუმენტს და იგი აუცილებლად უნდა გავაცნო „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს:

ჩემს მშობლიურ ქალაქ ქუთაისში აღმოუჩენიათ ადამიანურ შესაძლებლობათა კიდევ ერთი ახალი უნარი წინასწარმეტყველებისა თუ, უფრო მწიგნობრულად რომ ვთქვათ, წინასწარხედვისა (ადვილი წარმოსადგენია, საამისოდ რა ხანგრძლივი და ნამდვილი მეცნიერული დაკვირვება იქნებოდა საჭირო!)... თქვენ გეღიმებათ, ძვირფასო მკითხველო, მაგრამ მე მართლაც მეამაყება, რომ ეს მოხდა სწორედ ქუთაისში, სადაც „ყველაზე მკაცრმა კრიტიკოსებმა“, როგორც ხაზგასმულია პირველწყაროში, ჩვენი საუკუნის პირველსავე ათეულში შექმნილი რომანი ბ-ნ ელგუჯა თავბერიძისა – „აირევი ივერია“ 2010 წელს უკვე გამოაცხადეს, არც მეტი, არც ნაკლები, „XXI საუკუნის ქართული პიკარესკული რომანის შედევრად...“

როგორც ჩანს, ჟიური მტკიცედაა დარწმუნებული, რომ ამ მხრივ ჩვენი საუკუნის დარჩენილ 90 წელიწადში არაფერი უკეთესი აღარ შეიქმნება (სხვათა შორის, საფიჩხიაზე მითხრეს, ერთ-ერთი ამ „ყველაზე მკაცრ კრიტიკოსთაგან“ **ვანგას** ბიძაშვილი ყოფილა დედის მხრიდან...).

ძვირფასო მკითხველო, მაინც საკუთარი თვალით გინდათ ნახოთ ეს ისტორიული ვერდიქტი? კი, ბატონო, გადაშალეთ შესანიშნავი ქუთაისელი მწერლის, ქნ ელისო ქაროსანიძის თავისთავად ჩინებული თხზულებების კრებული („მწვანე ზარდახშა“, ქუთაისი, 2012, გვ. 239) და ისიამოვნეთ.

მართალი გითხრათ, ვერც გაამტყუნებთ ავტორს – იგი ხომ ყოველთვის სუბიექტურია, მაგრამ სად გამოიცა ეს წიგნი, რედაქტორი ვინ არისო, იკითხავთ. ცხადია, თქვენი მონა-მორჩილიც ასე მოიქცა და, მტრისას, ჩემო მკითხველო, იგი დღეში ჩავარდა – თვით ბ-ნი ელგუჯა არ ყოფილა რედაქტორი!!!

ა, როგორია, თავად რომ ხარ იმ გამომცემლობის დირექტორი, სადაც ეს წიგნი გამოდის, და, რაც მთავარია, კერძოდ, ამ წიგნის რედაქტორიც თავად ხარ – რა თქმა უნდა, შედევრად იქნება შენი რომანი მოხსენიებული, აბა, როგორ! მაგრამ, ნახეთ, რა მოკრძალებული რედაქტორ-გამომცემელია ბ-ნი ელგუჯა თავბერიძე, მხოლოდ XXI საუკუნის შედევრად რომ გამოაცხადა საკუთარი რომანი! ხომ შეეძლო ეს ფრაზა („XXI საუკუნის ქართული...“) სულაც გაექრო ტექსტიდან და ამდენად, კაცობრიობის მთელი ისტორიის შედევრად გამოეცხადებინა?! დაუშლიდა ვინმე „მთელს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე რესპექტაბელური გამომცემლობის დირექტორსა“ და „2 ათასამდე წიგნის რედაქტორსა და გამომცემელს“, როგორც აღნიშნულია ზემოხსენებულ პირველწყაროში?

არა, ვერავინ დაუშლიდა, მაგრამ თავად არ იკადრა! არ იკადრა კი იმიტომ, რომ, როგორც თავში გითხარით, ერთობ მოკრძალებული ხალხი ვართ...

ასეა – როცა გაქებენ (რა იცით, რა აქვთ ჩაფიქრებული?!), არ უნდა აჰყვე, უნდა აგრძნობინო, ნამეტანია-თქო, ხოლო, თუ არ გაჭრა, მიუთითო, რომ ტონს დაუწიონ, ტონს!

და აი, ნიმუშიც, ჩემო ბატონო!

* * *

**ნეტავ, როგორი იქნება ჩვენი ქვეყნისათვის შემდეგი 145 წელი?**

**გოგი დოლიძე**

# საღ იყო ნაციონალების მინისტრი ერთი თვე?

**ბარბარე რაფალიანცის** გარდაცვალებიდან ოთხი წლის შემდეგ, ფინანსთა მინისტრი ჟურნალისტებს კითხვაზე, რატომ არ არის გამოძიებული აღნიშნული საქმე, პასუხობს, რომ რაფალიანცის გარდაცვალებიდან ერთი თვის განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი იყო შს მინისტრი, რომელიც არ იძიებდა ამ საქმეს.

„ძალიან სამწუხაროა ბარბარე რაფალიანცის გარდაცვალება, მინდა გითხრათ, რომ ერთი თვე „ნაციონალური მოძრაობის“ შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, რომელიც არ იძიებდა ამ საკითხს და ერთი თვის შემდეგ დაწყებული პროცესი, ცხადია, რომ უფრო რთული გამოდგა“, – განაცხადა ნოდარ ხადურმა.

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №256

# მზერა მყინვარწვერიდან

## სიმონ ჯაფარიძის ფენომენი



ივანე ჯაფარიძე: ვფიქრობთ, მთებისკენ მიმავალი გზა-ბილიკების გახსენება ბევრს განვლილ წლებში დააბრუნებს და სულიერად გაამხნევებს, ხოლო ახალგაზრდა მთამსვლელებს მრავალ ხიფათს აასცილებს, გზას გაუკაფავს და მთას უფრო შეაყვარებს.

– ძვირფასო სიმონ, უნდა ნახო აქაური მაღაზიები და მთამსვლელური მოწყობილობა, რომ იგრძნო, ჯერჯერობით რამდენად ღარიბნი ვართ... – გვაგონდება **გიორგი ნიკოლაძის** წერილი **სიმონ ჯაფარიძისადმი,** როცა სოფელ ხრეითში (ჭიათურის რაიონი) ცნობილი ალპინისტების: სიმონ, ალიოშა და ალექსანდრე ჯაფარიძეების სახლ-მუზეუმში, მათ სამთო, კუსტარულ ფეხსაცმელებსა და ტანსაცმელს ვათვალიერებთ. – „როგორ ადიოდნენ ამით! – გაოცებას ვერ ფარავდნენ უცხოელი ალპინისტები – ეს ხომ თითქმის შეუძლებელია! ეს ლეგენდის სფეროდანაა!..“

თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა. დროის დისტანციიდან ჩვენს წარმოსახვაშიც თანდათან ლეგენდას ემსგავსება მათი პიროვნული მაგალითები.

რამდენიმე დღის წინათ ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა და კულტურის განყოფილება, მთამსვლელ ჯაფარიძეების სახლ-მუზეუმთან ერთად, სიმონ ჯაფარიძის დაბადებიდან 120 წლისთავს ზეიმობდა.

მუზეუმის (რომელიც აუცილებელ რეექსპოზიციას საჭიროებს) ეზოში გამომსვლელები, გემოვნებით მოზომილი ტექსტებით, მოცეკვავეთა შთამბეჭდავი ანსამბლი, დეკლამატორები და სოფელ ხრეითის ქალთა მომღერალთა გუნდი (სათნო და კეთილმომღიმარი ქალბატონებით) ერთ კომპოზიციურ მთლიანობას ქმნიდნენ.

– **დღეს ჩვენი შეხვედრის მიზანი გახლავთ ქართველი სპორტსმენის, ალპინისტის, გეოლოგის, ლოპოტის თეთრი მარმარილოს საბადოს აღმომჩენის, ქართული მთამსვლელობის ერთ-ერთი ორგანიზატორის და თვალსაჩინო წარმომადგენლის სიმონ ჯაფარიძის 120 წლის იუბილის აღნიშვნა,** – განმარტა ქალბატონმა ინგა მა-

სიმონ ჯაფარიძის დაბადებიდან 120 წლისთავის იუბილე სოფ. ხრეითში, მთამსვლელ ჯაფარიძეთა სახლ-მუზეუმში

ჭარაშვილმა, კულტურული მემკვიდრეობის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა – სოფელი, სადაც დაიბადნენ და აღიზარდნენ მთამსვლელი ჯაფარიძეები და სადაც ჩვენ დღეს ვიმყოფებით, მდებარეობს რაჭის ქედის სამხრეთ კალთაზე, ჭიათურიდან 18 კმ-ის დაშორებით. სოფელი XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან უკვე მოისხენიება ქართულ სამეცნიერო წყაროებში. ამავე პერიოდიდან მის შესახებ ცნობებს გვაწვდიან უცხოელი მოგზაურებიც. ხრეითის გავლით რაჭაში გადასულა ცნობილი მოგზაური ჟანფრანსუა გამბა, რომლის ჩანაწერებშიც აღწერილია, თუ როგორ მიიღეს ის ხრეთელებმა, როგორ უმასპინძლეს და როგორ დაათვრეს ის, ხოლო სასმისი, რითაც გამბამ ხრეითული ღვინო მიირთვა, დღემდე ერთ-ერთ ადგილობრივ ოჯახშია შენახული. მიუხედავად იმისა, რომ აქ ბევრი საინტერესო და ისტორიული ადგილია, უპირველესად ეს სოფელი ასოცირდება მთამსვლელ ჯაფარიძეთა სახელთან.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახლდათ მთამსვლელ ჯაფარიძეთა ოჯახის წევრის, ცნობილი ჟურნალისტისა და მეცნიერის **ივანე ჯაფარიძის** გამოსვლა, რომელსაც უდიდესი ღვაწლი აქვს ქართველ მთამსვლელთა ბიოგრაფებსა და ღვაწლის შეგროვებასა და პოპულარიზაციაში. მისი მასალების (მთამსვლელთა საჭურველი, აღკაზმულობა, სამკერდე ნიშნები, ფოტოსურათები, ჩანაწერები და სხვ.) საფუძველზე სოფ. ხრეითში, მისივე მამაპაპისეულ სახლში გაიხსნა მთამსვლელ ჯაფარიძეთა მემორიალური სახლ-მუზეუმი. ბატონი ივანეს შეგროვილი საფონდო მასალა, როგორიცაა მთამსვლელთა ხმეგის ძველი თუ თანამედროვე ჩანაწერების აუდიოთეკა ეპისტოლარული მემკვიდრეობა თუ უამრავი პუბლიკაცია, მათ შორის, კრებული „მყინვარწვერიდან ევერესტამდე“, მეცნიერთა და ისტორიკოსთა შემდგომი კვლევის საგანია და განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. გთავაზობთ **ივანე ჯაფარიძის** ჩანაწერებს მის ძვირფას და საამაყო ბიძაზე – სიმონ ჯაფარიძეზე, რომელსაც დაბადებიდან 120 წელი შეუსრულდა.

* * *

*„1927 წლის 7 აგვისტოს სიმონ ჯაფარიძე იაგორ კაზალიკაშვილთან ერთად, სრულიად ახალი, ლამაზი და ლოგიკური გზით – გერგეტის მყინვარიდან, ფირნის ველის გავლით, ავიდა უნაგირაზე, იქიდან მწვერვალზე და დასაბამი მისცა დღეს მყინვარწვერზე ყველაზე მოხერხებული და უხიფათო გზით ასვლას, რომელსაც შემდგომ „სიმონ ჯაფარიძის გზად“ მოიხსენიებენ.*

*1928 წელს, სიმონ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, კვლავ განხორციელდა მყინვარწვერზე ასვლა, რომელიც იმით იყო გამორჩეული, რომ მწვერვალზე ავიდა პირველი რადიო და კინოექსპედიცია, რომელშიც 41 კაცი, მათ შორის 7 ქალი მონაწილეობდა.*

*27 აგვისტოს, დილაადრიან, ნაგების მყინვარიდან მწვერვალისაკენ სამნი დაიძრნენ: გიორგი ნიკოლაძე, პიმენ დვალი და სიმონ ჯაფარიძე...*

*მწვერვალზე ასვლის მცდელობა ტრაგიკულად დასრულდა, სიმონ ჯაფარიძე ყინულზე დაცურებულ პიმენ დვალს მიეშველა, მისი შეჩერება ვეღარ შეძლო და... გადაჰყვა...*

*სიმონისა და პიმენის სიცოცხლის უკანასკნელ მომენტს ასე აღწერს მათი დაღუპვის უშუალო და ერთადერთი მოწმე გიორგი ნიკოლაძე:*

„2-3 საუნიღაა დარჩენილი კლდემდე, სადაც საშიშროება უკვე გავლილი იქნება, როდესაც შედრკა პიმენი, ის ორი ფეხით ერთ საფეხურში იდგა და ორივე ფეხით დაიწყო დაცურება, თავდაპირველად ნელა, სულ ნელა, თითქოსდა, შეუმჩნევლად. ის ცდილობდა დამაგრებულიყო ჯოხით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მასზე დაყრდნობით ფეხებით შემაგრება, მაგრამ ფუჭი იყო მისი ცდა. მე შეშინებული დავუყვირე სიმონს, რომელიც ჩემზე უფრო ახლოს იდგა და ზურგით პიმენისაკენ დაეჭიდა ახალ საფეხურს. „პიმენ, პიმენ“, დაიყვირა სიმონმა და სწრაფად დაარჭო წერაყინის წვერი პიმენის მუხლებთან, რადგან პიმენი უკვე წაქცეულიყო ერთ ფეხზე. მაგრამ

სიმონ ჯაფარიძე

**წერაყინმა ვერ დააკავა პიმენი. მაშინ სიმონმა სტაცა ხელი პიმენს ბეჭებში, მაგრამ აღარაფერს შეეძლო პიმენის შეჩერება, მისი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო და მასთან ერთად სიმონის ბედიც.**

**დაცურება თავდაპირველად იყო ნელი... უეცრად, თითქოს მიწას მოსწყდნენო, გაქანდნენ, ქვევით საშინელი სისწრაფით, მე დავინახე მხოლოდ, როგორ გაუვარდათ ორივეს ხელიდან წერაყინები. არც ერთ ჩვენთაგანს არ ამოუღია ხმა, სამივე დავმუნჯდით. პიმენი, სიმონი, ორი წერაყინი, დროშა – ყველაფერი ჩაცვივდა მყინვარის ძირში, გადაუხვია მარჯვნივ და გაჰქრა ჩემი ხედვის არედან. შეწყდა ხმაური, დადუმდა ყველაფერი და მხოლოდ მე დავრჩი ამ ყინულისა და სიკვდილის სამყაროში“...**

*სიმონისა და პიმენის დაღუპვის ამბავი მეხივით გავარდა მთელ სვანეთში. ყველაზე შორეულ სოფელშიც კი დასტიროდნენ დაღუპულთ. საუკეთესო სვანი მონადირეები თავდაუზოგავად ეძებდნენ დაღუპულებს. პიმენის ნეშტი მალევე იპოვეს, სიმონს კი ვერ მაკვლიეს... ისინი ვერ ურიგდებოდნენ აზრს, რომ ძვირფასი სტუმრის გვამი ყვავ-ყორნებს დარჩენოდათ საჯიჯგნად, ეს სტუმართმოყვარეობის ურყევი ტრადიციის შემღალვა იქნებოდა...*

*დაღუპვიდან 10 დღის შემდეგ ტელემაპ ჯაფარიძემ, ვალიკო ყურაშვილმა, არჩილ გუჯეჯიანმა, გართლომე ავალიანმა, გოჯი, მუსა და პავლე ზურეგიანებმა ღრმა ნაპრალში ჩავარდნილ სიმონ ჯაფარიძეს მიაკვლიეს.*

*მართალია, თეთნულდზე პირველი ასვლის ცდა მარცხით დასრულდა, მაგრამ ამ ფაქტს ქართული მთამსვლელობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის საქმეში უკვალოდ არ ჩაუვლია. მან გმირული სული შთაგერა მთამსვლელობას და თავისთავად დააკანონა მთამსვლელთა შორის რაინდული ურთიერთობა.*

# ჯემალ ღაღანიძე – ესა ვარ, რაცა ვარ...

**24 სექტემბერს, რუსთაველის თეატრის სამეჯლისო დარბაზში, საზოგადოებას საზეიმოდ წარუდგინეს საქართველოს სახალხო არტისტის, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის (ეს წოდება მოდას და კონიუნქტურას არ ექვემდებარება) ჯემალ ღაღანიძის წიგნი-ალბომი – „ჩემი რუსთაველის თეატრი – ჯემალ ღაღანიძე – ესა ვარ, რაცა ვარ...“**

შეხვედრაზე მოსულთა სიმრავლით დადასტურდა ქართული თეატრალური ხელოვნებით დაინტერესებული საზოგადოების დამოკიდებულება ამგვარი გამოცემებისადმი. წიგნის ავტორი ბატონი ჯემალ ღაღანიძე თავად მოგვითხრობს საკუთარი თავგადასავლების, ოჯახის, ქალაქის შესახებ, ყოველგვარი შტამპისა და ტრაფარეტის გარეშე, ლაღად, უშუალოდ, დამაჯერებლად... არ იფარგლება მხოლოდ თეატრალური პერიპეტიებით და მკითხველის თვალწინ ცოცხლდებიან მეხსიერებაში ღრმად ჩაბეჭდილი ახლობლები თუ შორებლები, სახელგანთქმული არტისტები თუ ცხოვრების გზაზე შეხვედრილი ადამიანები... ადვილად საკითხავი და აღსაქმელი ნაამბობი მსახიობის ურთულეს ხელოვნებასაც პოპულარულს ხდის. იქნებ იმიტომაც, რომ ხელოვნების ის დარგი, რომელსაც ბატონი ჯემალი ათეული წლებია, ემსახურება, მისთვის აღმოჩნდა იოლად დასაპყრობი სიმაღლე... თუმცა, ამ ხელოვნების სირთულეს და წინააღმდეგობრივ ბუნებას უამრავი წიგნი თუ გამოკვლევა მიეძღვნა.

წიგნი-ალბომი უხვადაა ილუსტრირებული მსახიობის ცხოვრებისული თუ სამსახიობო ხელოვნების ამსახველი ფოტოებით. ტექსტში არის დინამიკური, შთამბეჭდავი ადგილები, რომლებშიც კარგად ჩანს მსახიობის ცოცხალი, მხიარული ბუნება, მისი თავდაუზოგავი შრომისმოყვარეობა და მეგობრების სიყვარული. ეს თვისება მართლაც გამორჩეულია ბატონი ჯემალისთვის და როგორც თავად ამბობს, მას იშვიათი მედნიერება ხვდა წილად – თეატრისა და ერთგული მეგობრების სახით.

წიგნი-ალბომის – **„ჩემი რუსთაველის თეატრი – ჯემალ ღაღანიძე – ესა ვარ, რაცა ვარ!..“** მიზანია მკითხველს გაუცოცხლოს ის არაჩვეულებრივი ეპოქა, როდესაც სრულიად ახალგაზრდა ჯემალ ღაღანიძე პირველ ნაბიჯებს დგამდა თეატრალურ ხელოვნებაში და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოდიოდა.

ბატონი ჯემალ ღაღანიძის მოგონებათა წიგნი-ალბომის აუდიტორია სრულიად საქართველოს ხელოვნების მოყვარული საზოგადოებაა, რომელთაც კარგად ახსოვთ მსახიობის თეატრალური თუ კინოგმირები, უყვართ და პატივს სცემენ მის შემოქმედებას. ამავე დროს, საინტერესო იქნება მათთვისაც, ვინც მხოლოდ ახლა ეცნობა მე-20 საუკუნის ქართულ თეატრალურ ცხოვრებას. სამწუხაროდ, ახალგაზრდა თაობამ ბევრი არაფერი იცის იმ ადამიანთა შესახებ, რომელთაც ფაქტობრივად თანამედროვე ქართული კულტურის ისტორია შექმნეს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია წიგნის დიზაინი, რომლის მხატვრობაც ცნობილ მხატვარს – **მალხაზ კუხაშვილს** ეკუთვნის. რედაქტორ-შემდგენელია **მანანა თევზაძე,** ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. მანვე იმუშავა ამავე სერიით – „ჩემი რუსთაველის თეატრი“ გამოცემულ წიგნებზე, რომლებიც მსახიობების **ნანა ფაჩუაშვილის** და **დათო პაპუაშვილის** ცხოვრებასა და შემოქმედებას მიეძღვნა.

ამგვარი ტექსტები, ამ შეთხვევაში ბატონ ჯემალ ღაღანიძის ცხოვრების წიგნი, ალბათ ერთგვარი სასწავლო დოკუმენტიცაა, მაგალითიცაა, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა თავისი ხალხის სიყვარულის მოსაპოვებლად... **ვფიქრობთ, წიგნი-ალბომი პოპულარიზაციას გაუწევს მსახიობის შემოქმედებას და შესანიშნავი მაგალითი იქნება სხვა შემოქმედთათვის საკუთარი მემუარების შესაქმნელად. მით უმეტეს, რომ დღეს მემუარისტიკის დიდი დეფიციტია და ამავე დროს დიდი მოთხოვნილებაც... მოთხოვნილება სწორედ იმ ტიპის ლიტერატურის, სადაც ადამიანების ბიოგრაფიებთან ერთად ეპოქის სახე და ნამდვილი შინაარსი იკითხება.**

გთავაზობთ ფრაგმენტებს ბატონ ჯემალ ღაღანიძის მოგონებებიდან:

## მე თბილისელი ბიჭი ვარ...

**მთელი ბავშვობა და შეიძლება ითქვას, მთელი ცხოვრება, საბურთალოზე გავატარე.**

ასე რომ, ძირძველი საბურთალოელი ვარ...

ულამაზესი იყო ჩემი ბავშვობის დროინდელი თბილისი. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მძიმე პერიოდში ვცხოვრობდით და იმ დროს სამამულო ომი მიმდინარეობდა, თბილისი მაინც უფრო ლაღი იყო... ყველა თაობას ჰგონია, რომ სწორედ მისი თბილისი იყო ყველაზე კარგი.

იმ დროს, მართლაც რომ საოცარი დამოკიდებულება იყო ადამიანებს შორის და ყველამ კარგად იცოდა, ესა თუ ის კაცი – ვინ იყო და რა იყო. ჩვენი მეგობრობაც უფრო გამტანი იყო, მეტად ფასობდა... ჩემი თაობის ხალხისთვის, ქუჩა მართალაც აკადემია იყო... ახლა რომ იმ პატარა ეზოს ვუყურებ, სადაც ბურთს ვთამაშობდით, მიკვირს, როგორ ვეტეოდით... ახლა უკვე მივიწყებულ „ჩილიკაჯოხობანას“ და „გრძელ ვირს“ ვთამაშობდით, თვითნაკეთი კოჭებითა და ჩიკორით ვერთობოდით, მაგრამ ჩხუბით, არა, არ ვჩხუბობდით და თუ მაინც... ვიდრე ჩხუბს დავიწყებდით, ერთმანეთს ჯიბეებს ვუსინჯავდით... დანა კი არა, ქვა რომ არ გამოეყენებინა ვინმეს... ჩხუბს შერიგება მოსდევდა... თუ ვინმეს ტყეილსა და ღალატში გამოვიჭერდით, ჩვენი წრიდან ვაგდებდით. კაცი თუ ჩხუბში დაიჭრებოდა, მაშინვე ვარკვევდით – რატომ და რისთვის?ახლა სიკვდილი გაუფასურდა...

სისტემატურად დავდიოდით თეატრებში, შემდეგ ვცდილობდით იქ ნანახი საკუთარ ეზოში გადმოგვეტანა... დედა, რომ სადილს გააკეთებდა, თითო ულუფა ჩემი მეგობრებისა იყო. არ ვიცი, ვინ ან რატომ დაარქვა ჩვენს ეზოებს იტალიური?.. თბილისური, ქართული ეზოები იყო და სწორედ ამ ქართულ ეზოებში ვისწავლეთ ერთმანეთის გატანა და სიყვარული... .

ქუჩაში ჩვენს უბნელ გოგოს თუ ვინმე გამოაცილებდა, ხმას ვინ ამოიღებდა?.. ყველაფერი მეორე დღეს ირჩეოდა. უფრო რომანტიკულებიც ვიყავით, დღეს უჭირთ თქმა – მიყვარხარო... როცა მერხებს გოგონებთან ერთად ვუსხედით, მეტი ხალისი იყო, ერთმანეთს ვეპრანჭებოდით კიდეც, ვაუთა სკოლაში რომ გადაგვიყვანეს, თავი კოლონიაში გვეგონა და ჩვენი შეხვედრების ერთადერთი ადგილი მოზარდ მაყურებელთა თეატრი იყო.

გულუბრყვილონიც ვიყავით, ლექსი არავისთვის მიმიძღვნია, სიმღერით კი, ბევრისთვის მიმღერია, – „ჩემო ჩიტუნია, ლაჟვარდთვალა ია, შენთვის მომიძღვნია ეს გული“...

მაშინ ეს სიმღერა იყო მოდაში...

ოჰ, ეს ამალია...

მეხუთე კლასიდან მიყვარდა, ამას წინათ შემხვდა და მითხრა, – როგორ იყო, ისარგაყრილი გული რომ დამიხატეო?..

სტუდენტობის დროსაც, სად მქონდა იმის თავი, მოწონებული გოგო კაფეებსა და რესტორნებში მეტარებინა?.. იმ დროს თბილისში თითზე ჩამოსათვლელი იყო რესტორნები და დუქნები და იქ რომ გოგო შეგეყვანა, მთელ თბილისს ეცოდინებოდა. იმდენს თუ მოახერხებდი,შენს რჩეულს კინოში ან თეატრში წამოსვლაზე დაითანხმებდი, უბედნიერესი ადამიანი იყავი.... სიყვარულისთვის ღამის თევაც გვეხალისებოდა და ქეიფიც... ყველანი ერთად, არტოს ბაღში მივდიოდით და სამახსოვრო სურათებს ვიღებდით.

სტუმართმოყვარე ოჯახი გვქონდა. მაშინ რესტორნებში იშვიათად თუ წავიდოდნენ, ძირითადად სახლებში იკრიბებოდნენ, სახლში ილხენდნენ... ქართული სუფრის სიყვარულიც სწორედ ოჯახიდან მომდგამს. ერთი სული მქონდა მალე გავზრდილიყავი,რომ ისე მომელხინა როგორც მამა და ორივე ბაბუა, მათსავით მემღერა ქართული სუფრული სიმღერები... დღესაც კი მღერიან სუფრასთან, მაგრამ მაშინ სულ სხვა იყო...

ჩვენს უბანში ძალიან ბევრი ხალხი იყრიდა თავს. ქალაქიც პატარა იყო და ყველა ერთმანეთს იცნობდა, სალმის გარეშე აბა ვინ ჩაივლიდა ქუჩაში...

თუ გზად ვინმე ცნობილი ადამიანი შეგვხვდებოდა, დედა აუცილებლად ჩუმად ამიხსნიდა, ვინ იყო იგი.

დიდი გალაკტიონიც სწორედ ამ პერიოდიდან მახსოვს...

ან სად იყო ამდენი ტრანსპორტი?.. ცხოვრება დილის ხუთ-ექვს საათზე იწყებოდა.დილაუთენია ყველა ფეხზე იდგა... ცხოვრება ძალიან ჭირდა, მაგრამ ადამიანები უფრო ენდობოდნენ ერთმანეთს. ეზოში ყველა ერთი დიდი ოჯახივით ვიყავით. მშობლებმა იცოდნენ, ვის ოჯახში ვიყავით შეკრებილები, იცოდნენ რისი გამკეთებლები ვიყავით და არაფერის ეშინოდათ...

## თითქმის სამოცი წელი რუსთაველის თეატრის ფრთებქვეშ

**ჩემი სკოლის მეგობრები რომ შემხვდებიან, მიუხედავად იმისა, რომ ყველა შესანიშნავი სპეციალისტია და საპასუხისმგებლო სამსახურში დგას, მეუბნებიან, ჯემალ, ჩვენს შორის შენ ყველაზე ბედნიერი კაცი ხარ!..**

ვეკითხები, რატომ, კაცო-მეთქი?.. და ასე მპასუხობენ, შენ, რაც მეექვსე-მეშვიდე კლასიდან ჩაიფიქრე, ყველაფერი აისრულე და იმიტომო!..

და მეც, თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ, რაც მართალია, მართალია!..

ყველა ინტერვიუს, რაც ჩემს შემოქმედებას ეხება, ტელევიზიაში, რადიოში თუ ისე, ჟურნალისტებთან საუბრისას, ამ სიტყვებით ვიწყებ, მე ბედნიერი კაცი ვარ!

ლენა, ჩემი მეუღლე, მეტყვის ხოლმე, კარგი, გეყოფა, არ დაითარსოო...

ბედნიერებაა, აბა რა არის, როდესაც ბავშვობის ოცნებას აისრულებ. ჩავიფიქრე, მსახიობი უნდა გავხდე-მეთქი და გავხდი, თანაც რუსთაველის თეატრის დასის წევრი, თანაც იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ სცენაზე იდგნენ ლეგენდები: აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, გიორგი საღარაძე, მანაველ აფხაიძე, სერგო ზაქარიაძე, ბუხუტი ზაქარიაძე, იპოლიტე ხვიჩია... თამარ ჭავჭავაძე, თამარ წულუკიძე, ეკატერინე ვაჩნაძე, თამარ ბაქრაძე, თამარ თეთრაძე, ალექსანდრა თოიძე... ისე უბრალოდ კი არ მოვესწარი მათ, არამედ თითოეულ მათგანს პარტნიორობა გავუწიე!

ბედნიერებაა, აბა რა არის?..

მათ მომდევნო თაობასთან, გოგი გეგეჭკორთან, მერაბ გეგეჭკორთან, ეროსი მანჯგალაძესთან, კოტე მახარაძესთან, ბადრი კობახიძესთან, რამაზ ჩხიკვაძესთან, გურამ საღარაძესთან, კარლო საკანდელიძესთან, ედიშერ მაღალაშვილთან... მედეა ჩახავასთან, ლეილა ძიგრაშვილთან, სალომე ყანჩელთან, მარინა თბილელთან, ლამზირა ჩხეიძესთან, ჟუჟუნა დუგლაძესთან და სხვებთან, არამც თუ მითამაშია, არამედ ცხოვრებაში ერთმანეთისთვის მეგობრობა გაგვიწევია!

განა ეს ბედნიერება არ არის?..

ბედნიერება არ არის ისეთ რეჟისორებთან მუშაობა, როგორებიც იყვნენ: დოდო ალექსიძე, მიხეილ თუმანიშვილი, დოდო ანთაძე, არჩილ ჩხარტიშვილი, გიგა ლორთქიფანიძე, ლილი იოსელიანი და ბოლოს, ჯვარი ეწეროს და დიდხანს გვიცოცხლოს ღმერთმა, ჩვენი რობიკო სტურუა!..

რობიკოზე რვა წლით ადრე მოვედი რუსთაველის თეატრში. მისი დებიუტი 1963 წელს შედგა, როდესაც „მესამე სურვილი“ დადგა. მე ექიმს ვთამაშობდი, სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა და პრემიერის შემდეგ რობიკომ, რომელთანაც ჯერ ახლოს არ ვიყავი, წერილი მომწერა...

საყვარელო ჯემალ!

გმადლობთ ჯემალ. ის, რაც თქვენ გააკეთეთ, კარგია.

Я желаю вам больших и хороших ролей

Я очень был рад роботать с вами.

მე ვიცი, რომ ჩვენ კიდევ ერთხელ შევხვდებით ერთმანეთს

გკოცნი, რობიკო.

1963 2.I

„მესამე სურვილი“.

ჩემდა საბედნიეროდ, ყველაფერი, რაც კი ამ წერილში წერია, ახდა!

ამ სპექტაკლის შემდეგ რობიკომ თავის ოცამდე სპექტაკლში დამაკავა, ისეთ საეტაპო სპექტაკლებში, როგორიც იყო „ხანუმა“, „ყვარყვარე“, „კავკასიური ცარცის წრე“, „რიჩარდ მესამე“, „მაკბეტი“, „მეფე ლირი“, „სეჩუანელი კეთილი ადამიანი“...

სანამ დავბერდებოდი, რობიკოს ყველა სპექტაკლში ვითამაშე, ალბათ ამიტომაც ამბობს, ჯემალი, ჩემი თილისმააო!..

მეტი ბედნიერება რაღა გინდათ?..

რუსთაველის თეატრი გასტროლებზე 40 ქვეყანაში იყო, აქედან 35-ში მეც ვიღებდი მონაწილეობას. მარტო „კავკასიურმა ცარცის წრემ“ და „რიჩარ მესამემ“ 30 ქვეყანა შემოიარა. ბევრი რამის მომსწრე გახლავართ და ამაში დიდი წვლილი ბატონ რობიკო სტურუას მიუძღვის. რობერტ სტურუას წყალობით ბედნიერი კაცი ვარ...

რობიკოს სპექტაკლები ყოველთვის ოპოზიციური იყო, ამავე დროს გენიალური, მაყურებელი არასოდეს აკლდა... სცენიდან იმას ვამბობდით, რასაც ადამიანები ხელისუფლებაზე ფიქრობდნენ, მაყურებელი თავის გულისტკივილს სცენიდან ისმენდა... რობიკოს, როგორც რეჟისორს ვერ ეხებოდნენ, მისი დადგმის სტილს იტანდნენ, ტაშს უკრავდნენ, მის პერსონაჟებში ბევრს დაუნახავს საკუთარი თავი, მაგრამ გაღიზიანება არ გამოუხატავს...

გენიოსად აღიარეს!

პოლიტიკურ მსვლელობებში არასოდეს მონაწილეობა არ მიმიღია, სანამ რობიკოს არ შეეჯახნენ, ჩემი განწყობილება მხოლოდ მაშინ გამოვხატე...

მადლობა ღმერთს, სანთელ-საკმეველმა თავისი გზა არ დაკარგა... სიმართლემ გაიმარჯვა...

რობიკო კვლავ ჩვენთან არის...

* * *

მოგეხსენებათ, სახასიათო როლების შემსრულებელი ვარ და თუ ადამიანს იუმორი არა აქვს, ამ ამპლუაში ვერ ივარგებს. თეატრშიც ჩემი ადგილი მაქვს, არავითარ პრეტენზიას არ ვაცხადებ. თუ უფრო მეტი როლი უნდა მქონოდა და არ მაქვს, ამის მიზეზსაც ჩემს თავში ვეძებ, ეტყობა, არ ვიყავი ამ პროფესიისთვის ისე მომზადებული, როგორც საჭირო იყო, უკეთეს როლებს იმიტომაც არ მაძლევდნენ... ალბათ, მეტის გაკეთება არ შემეძლო... არც მინდა ისეთ როლს წავეპოტინო, რომელიც შემარცხვენს...

აქამდე ასე ვიცხოვრე და აწი, რა ვიცი...

**ჩანაართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე**

◎ მომსახურება

# ბანკის პლასტიკურ ბარათის ფასი დაედება

## ოქტომბრიდან უფასო ჩარიცხვის აპარატები აღარ იარსებებს

**უფასო სწრაფი ჩარიცხვის მომსახურების დრო დასრულდა. „საქართველოს ბანკმა“ პოლიტიკა შეცვალა და ბაზარზე კონკურენტების მაქსიმალურად შევიწროების შემდეგ, საკომისიო გადასახადს ყველა მომსახურებაზე აწესებს.**

ამ დრომდე სხვა კომპანიების სწრაფი ჩარიცხვის აპარატებზე მობილური ბალანსის შევსების საკომისიო 4% იყო. „საქართველოს ბანკში“ განმარტავენ, რომ უფასო მხოლოდ ბანკის ნებისმიერი პლასტიკური ბარათით განხორციელებული ოპერაცია იქნება.

სხვა კომპანიებმა სწრაფი ჩარიცხვის აპარატებზე 4%-იანი საკომისიო 3 წლის წინათ დააწესეს, მაგრამ „საქართველოს ბანკმა“ მაშინ მომსახურების საკომისიო არ დააწესა.

გარდა ამისა, ოქტომბრიდან საკომისიო წესდება კომუნალურ გადასახადებზე. ზოგიერთი ტიპის შენატანზე „ექსპრეს ფეიც“ აწესებდა გადასახადს (მაგალითად, წყლისა და გაზის გადასახადის მომსახურებაზე), თუმცა ძირითადი კომუნალური სერვისი აქამდე უფასო იყო. ახლა კი „საქართველოს ბანკის“ სწრაფი ჩარიცხვის აპარატებით სარგებლობაც ფასიანი იქნება.

ადგილობრივ ბაზარზე სწრაფი გადარიცხვის აპარატები ოთხ კომპანიას „ნოვა ტექნოლოჯის“, OSPM-ს, „ექსპრესს ფეის“ და „თიბისი ფეის“ აქვს. კომპანიების ინფორმაციით, ყოველდღიურად საქართველოში 10 000-ზე მეტი ტერმინალის მეშვეობით 60 000-ზე მეტი მომხმარებელი სარგებლობს.

სწრაფი გადახდის აპარატების ინტერესებს იურისტი აკაკი ჩარგეიშვილი იცავს, რომელიც ამბობს, რომ სიტუაციის ასეთი სცენარით განვითარება მოსალოდნელი იყო და ამაზე ორი წლის წინათ საუბრობდა. „საქართველოს ბანკის“ მიზანი იყო კონკურენტები გაექრო ბაზრიდან და ასეც მოხდა.

ჩარგეიშვილი ამბობს, რომ კომპანიებთან ერთად პროტესტის სხვადასხვა ფორმას მიმართეს. მოაწყვეს მსვლელობა და საკითხზე ეროვნულ ბანკისგან რეაგირებას ითხოვდნენ.

„დღეს ძნელად წარმოსადგენია, ამ სფეროში ვინმემ დაიწყოს ბიზნესი და გააგრძელოს, რადგან მას სრულად აკონტროლებენ ბანკები. თავის დროზეც, 0%-იანი საკომისიოს დაწესების შესახებ „საქართველოს ბანკის“ განცხადება იყო ტყუილი. ეროვნულ ბანკს არ უნდა მიეცა საშუალება ბანკებისთვის, არაპროფილურ ბიზნესში შესულიყვნენ, თუმცა გადაწყვეტილება მიიღეს არა ბიზნესის, არამედ ბანკების სასარგებლოდ. დღეს, როდესაც მომხმარებელი მიეჩვია 0%-იან ტარიფს, აპარატებთან მისვლისას მიიღებს საკომისიოს და ეს ისედაც მოსალოდნელი იყო“, — აცხადებს ჩარგეიშვილი.

„საქართველოს ბანკში“ კი აცხადებენ, რომ „ექსპრეს ფეის“ თვითმომსახურების აპარატებით გადახდისას მომსახურებაზე დაწესებული საკომისიო ბაზარზე არსებული ტარიფების შესაბამისია. თვითმომსახურების აპარატით საკომისიოს გადახდის შესახებ „საქართველოს ბანკმა“ მომხმარებლის ინფორმირება ერთი თვით ადრე დაიწყო და „საქართველოს ბანკის“ ნებისმიერი პლასტიკური ბარათით მობილური ბალანსის შევსება უფასოა“.

სპეციალისტები დიდი ხანია, მიუთითებენ, რომ საქართველოში კომერციულ ბანკებს სხვადასხვა მიმართულების არაპროფილური ბიზნესი აქვთ. აქ საჭიროა ეროვნული ბანკის სწორი პოლიტიკა, რაც, სამწუხაროდ, არ ხორციელდება.

**ბეჭა დანელია**

# თბილისში ახალი ავტობუსები გამოჩნდნენ

**„Man“-ის ახალი ავტობუსები უახლოეს დღეებში №61 ხაზზე გავა. თბილისელებს და დედაქალაქის სტუმრებს სულ მალე 10 ახალი, ევროსტანდარტების შესაბამისი, ადაპტირებული და ეკოლოგიურად სუფთა, CNG საწვავზე მომუშავე ავტობუსი მოემსახურება.**

ახალი ავტობუსების დედაქალაქში ჩამოსვლასთან დაკავშირებით, სასტუმრო „რადისონი“-ს მიმდებარე ტერიტორიაზე თბილისის მერი დავით ნარმანია საკრებულოს თავმჯდომარესთან, გიორგი ალიბეგაშვილთან, EBRD-ისა და კომპანია „Man Truck and Bus AG“-ის წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდა. თბილისის მერმა ადგილზე შეკრებილ საზოგადოებას ახალი ავტობუსები წარუდგინა და სიტყვით მიმართა, რის შემდეგაც ავტობუსებმა, სიმბოლურად, პირველი, მოკლე მარშრუტი შეასრულეს.

**„დღეს პირველი 10 ავტობუსი ჩამოვიდა და მზად არის. ავტობუსები უახლოეს რამდენიმე დღეში უკვე გავლენ 61 მარშრუტზე და დაიწყებენ მგზავრთა გადაყვანას. მძღოლები მომზადებულები არიან, თუმცა, შემდეგი რამდენიმე დღე, მათ მაინც ჩაუტარდებათ დამატებითი სწავლება. მძღოლებს სპეციალური ფორმები ექნებათ, სათანადოდ აღჭურვილები იქნებიან იმისათვის, რომ შეძლონ თანამედროვე ავტობუსების მართვა და მგზავრების მომსახურება“** — განაცხადა დავით ნარმანიამ.

თებერვლის ბოლომდე, თბილისის ავტოპარკი ეტაპობრივად 143 ერთეული ავტობუსით განახლდება.

ავტოპარკის განახლების პროექტი EBRD-ის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით ხორციელდება. EBRD-ის სასესხო რესურსმა 27 მლნ ევრო შეადგინა, ხოლო ევროკავშირის მიერ დაფუძნებულმა ფონდმა "E5P" 7მლნ ევროს ოდენობის გრანტი გამოყო.

# აგარაში ხილის სპირტის საწარმო გაიხსნა

**კიდევ ერთი ახალი საწარმო გაიხსნა შიდა ქართლის რეგიონში, რომლის შესაქმნელად 4,5 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა.** აგარის ხილის სპირტის საწარმოს გახსნის ღონისძიებას საქართველოს პრემიერ მინისტრთან ერთად პირველი ვიცე-პრემიერი დიმიტრი ქუმსიშვილი დაესწრო.

**„50 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა აგარაში, ხილის სპირტის ქარხანაში. ეს არის უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქარხანა, რომლის მშენებლობაც დაიწყო სულ 9 თვის წინათ. ინვესტირებულია 4,5 მილიონ დოლარზე მეტი. როგორც აღვნიშნე, 50 ადამიანი დღეს არის დასაქმებული, ხოლო ახალი წლისთვის 60-70 ადამიანი იქნება დასაქმებული. მნიშვნელოვანი აღნიშნული საწარმოს გახსნა იმითაც არის, რომ საწარმო იღებს არაკონდიციურ ხილს და შემდგომ უკვე ამისგან ამზადებს ძალიან მოთხოვნად პროდუქტს — ხილის სპირტსა და ხილის არაყს“,** — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

აგარის ხილის სპირტის საწარმოს მშენებლობა 2016 წელს ქართული ინვესტიციით დაიწყო. კომპანია სარგებლობს იაფი აგროკრედიტის კომპონენტით — სესხის თანხა 600 000 აშშ დოლარს შეადგენს.

საწარმოში მოხდება არასტანდარტული ხილის მიღება, საიდანაც დამზადდება 860-იანი სპირტი. ნაწარმოები პროდუქცია ძირითადად გავა ექსპორტზე — ამერიკაში, ევროკავშირისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. კომპანია ასევე აპირებს საკუთარი ნედლეულით ადგილზე ჩამოასხას სხვადასხვა ხილის არომატების მქონე სპირტიანი სასმელები (არაყი, ბრენდი), რომლის დიდი ნაწილიც ასევე განკუთვნილი იქნება ექსპორტზე გასატანად ზემოხსენებულ ქვეყნებში.

საწარმოს შესაძლებლობა აქვს, დღეში 50 ტონა ხილი მიიღოს და გადაამუშაოს, საიდანაც იწარმოება 3 ტონა მაღალი ხარისხის ხილის სპირტი. საწარმო წელიწადში 5 000 ტონა სხვადასხვა სახეობის ხილს გადაამუშავებს.

◎ ენერგეტიკა

# საქართველოში უშუქო სოფელი აღარ დარჩა

**„ენგურჰესი ჩვენი ენერგეტიკის გულია“, — განაცხადა ენერგეტიკის ახლად დანიშნულმა მინისტრმა ილია ელოშვილმა რადიო „კომერსანტის“ ეთერში, მაია ჭუჭულაშვილის გადაცემა „კომერსანტის დროით“ საუბრისას. მინისტრი გადაცემაში ბევრ მნიშვნელოვან საკითხს შეეხო, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება ჰესების მშენებლობასა და მის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟზე გაამახვილა.**

**— როგორ შეაფასებდით სამინისტროსთვის განვლილ ოთხ წელიწადს?**

— ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ენერგეტიკის სამინისტროში ყველა მიმართულებით ძალიან ბევრი წარმატებული პროექტი განხორციელდა. გაზიფიცირების კუთხით ასობით ათასი ახალი აბონენტი მოგვემატა. გამრიცხველიანება თითქმის დასრულდა და 400 მეგავატამდე სიმძლავრის ახალი გენერაციის რამდენიმე ობიექტი აშენდა. ჩვენი თანამშრომლობა ევროპასთან უფრო გაღრმავდა და ამ საკითხში წინ სეროზულად წავიწიეთ. მალე ენერგო „ქომუნითიში“ შესვლასაც ხელს მოვაწერთ. ფაქტობრივად, დღეს საქართველოში უშუქო სოფელი აღარ დარჩა. სადგურების მშენებლობა ახლაც აქტიურად მიმდინარეობს. ეს კი ორი მილიარდის ინვესტიციაა. ამასთან, ბოლო წლებში საკანონმდებლო კუთხითაც სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა წინ.

**— როგორია ზამთრის სამზადისი, ენერგომომარაგების კუთხით რაიმე სახის პრობლემა ხომ არ შეიძლება შეგვექმნას?**

— მნიშვნელოვანია ის, რომ ყოველ წელს მიმდინარეობს ქსელის რეაბილიტაცია. ოთხი წლის წინათ ელექტროენერგია ხშირად ითიშებოდა,თუმცა დღეს ასე აღარ არის. თუ დღეს დენი ითიშება, ამის მიზეზი მხოლოდ საგეგმო სამუშაოებია. ყოველი მომდევნო ზამთარი იქნება უკეთესი, ვიდრე წინა. თუმცა შეუძლებელია, რომ ენერგოქსელში რაიმე ტიპის ავარია მთლიანად გამოირიცხოს.

**— როგორც ვიცით, იგეგმება ენგურჰესზე ენერგეტიკული მუზეუმის მოწყობა. რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც ენგურჰესი?**

— ჩემი ოცნება იყო, რომ საქართველოში მსგავსი პროექტები განხორციელებულიყო. ენგურჰესზე თანამედროვე არქიტექტურითა და დიზაინით გადაწყვეტილი ენერგეტიკული მუზეუმი მოეწყობა. განთავსდება საკონცერტო დარბაზი და მსოფლიოში ყველაზე მაღალი კაშხალი ლიფტი, აღნიშნულ პროექტზე მუშაობა უკვე დასრულებულია, სქემა დაპროექტებულია და კულტურის სამინისტროსთან ერთად დამატებით დეტალებზე ვმუშაობთ. რამდენიმე თვეში კი პროექტის მთლიანი ხარჯთაღრიცხვაც გვექნება.

**— ენგურჰესის დიდი ნაწილი აფხაზეთის მხარესაა, ალბათ, ამ პროექტის განხორციელებისთვის მათთან აქტიური თანამშრომლობა დაგჭირდებათ. იქნება თუ არა აფხაზეთის ხელისუფლება მზად იმისათვის, რომ ამ პროექტის რეალიზების საშუალება მოგცეთ?**

— კაშხალი ჩვენ მხარესაა, მართვის პულტი კი — აფხაზეთში. თანამშრომლები, რომლებიც ენგურჰესზე მუშაობენ გარდა იმისა, რომ კარგი ინჟინრები და ენერგეტიკოსები არიან, საოცარი დიპლომატები აღმოჩნდნენ. მათ კარგი ურთიერთობა ჩამოაყალიბეს აფხაზურ მხარესთან და ამ ხნის განმავლობაში ამას ინარჩუნებენ. ენგურჰესი ჩვენი ენერგეტიკის გულია. როდესაც ჩვენ ეს კულტურულ ძეგლად ვაღიარეთ, აფხაზურმა მხარემაც ასევე კულტურის ძეგლად გამოაცხადა. ეს ჩვენი საერთო ქონებაა.

**— როდესაც ხელისუფლება ახალი მოსული იყო, მაშინ ჰესებთან დაკავშირებით ბევრი კითხვა გაჩნდა. ოთხი წლისთავზე შეგიძლიათ თქვათ, რომ ეს დამოკიდებულება შეიცვალა და პრობლემა მოგვარებულია?**

— არ არსებობს ერთი საზოგადოებრივი აზრი და ამ აზრის საერთო საწყისები. მაგალითისთვის მოვიყვან ახალი გზების მშენებლობას, სადაც ანალოგიური სიტუაცია იქნება, უბრალოდ იქ გზასთან იქნება შეხება და არა ელექტროსადგურებთან. თუ ადამიანის საკუთრებას ინფრასტრუქტურა ეხება, მას დიდად არ აინტერესებს რა სახის მშენებლობა მიმდინარეობს. ჩვენ არც ერთ ინვესტორს არ მივცემთ იმის უფლებას, რომ საკუთარი პროექტი თუნდაც ერთი მოქალაქის დაჩაგვრის ხარჯზე განახორციელოს. რაც შეეხება მოსახლეობას, მან უნდა გაითავისოს, რომ არ შეიძლება კომპენსაციებს შანტაჟისა და გამორჩენის სახე მიეცეს.

**— ოთხი წლის განმავლობაში გვესმის რომ ხუდონჰესის მშენებლობა უნდა დაიწყოს, მაგრამ არ დაწყებულა. რა ხდება ხუდონჰესის პროექტთან დაკავშირებით?**

— ენერგეტიკაში ხუდონი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და სტრატეგიული პროექტია. ხუდონი ახალი ენგურია. ეს პროექტი აუცილებლად უნდა განხორციელდეს. რაც შეეხება მოსახლეობის განსახლებს და მის თანხმობას, საჭიროა მიწების აზომვა, განსახლების გეგმის შედგენა, გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გაკეთებული შენიშვნების გათვალისწინება.

**— იყიდება „ყაზტრანსგაზი“, მაგრამ დაგროვილ დავალიანებას რა ეშველება?**

— ამ ეტაპზე ვერ ვიტყვი, რომ „ყაზტრანსგაზი“ იყიდება, ის შეიძლება გაიყიდოს, შეიძლება — არა. მფლობელებს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს. ჩვენ ამაში არ ვერევით. როგორც არ უნდა წარიმართოს პროცესი, მოსახლეობას გაზმომარაგებას არავითარი საფრთხე არ ემუქრება.

# გოდება სანგრებთან

## ჟურნალისტის ნანახი და განცდილი

**— ნუ აატირე ბავშვები, კაცო... ვაი და უბედურება იმას, ვინც ასე სატირლად გაგვიხადა საქმე...**

— კაი, ახლა,... იწერება, ქალო, ყველაფერი აგერ, ა!..

— მერე, იმას გეუბნები მეც, ბავშვები არ ამიტირო-მეთქი... მეორესაც უთხარი, კაცო ორი სიტყვა!...

— ჰო კი!... ბაბუ, ჯიმი, ჯიჯიკო! ხომ გესმის ჩემი? ხო... ახლა ჩვენთან არის „მეორე ბაბუა!“ ხომ ხედები, რომელ ბაბუაზე გეუბნები?! მე ის დღეს გავიცანი, მაგრამ თქვენ კი იცნობთ, იქ თბილისში... ვიცი, ბაბუას ეძახით მასაც... ჰოდა, ის ჩამოგიტანთ ჩვენს ამბავს, გეტყვით, ალბათ, რომ მე და ოთარ ბაბუა ერთად ვიყავით, ერთად ვსვამდით, ერთად ვჭამდითო... აბა, კარგად მეყოლეთ!... შენც უთხარი ქალბატონო, შვილიშვილებს რამე, მე რომ მასწავლი...

— ვეტყვი, აბა!... ანა, ანუკი! შენ შემოგევლოს ბებია, როგორა ხარ?.

— გკოცნით ყველას. — მომიკითხე დედიკო, მამიკო — ჯიჯი, ჯიჯიკო!... გენაცვალე — კარგად ბაბუ. — კარგად, ბებო!... რამ გამომატვინა, ბაბუ-მეთქი!...

* * *

**...„იძით“ დარჩენილ უსიერში მარტოდმარტო მდგარი ოდის კედლებში იწერებოდა ეს ცრემლიანი პაუზებითა და კაეშნით დატბორილი ხმოვანი „წერილი“, თბილისში გათხოვილ ქალიშვილს რომ უგზავნიდნენ მშობლები და, რომლის ჩამოტანის პატივი მე მერგო წილად ...**

...ადიდებულ ენგურზე და ღამის უკუნეთში გამოვატარე იგი!

მანამდე კი, კიდევ ერთხელ გავრისკეთ და ღამეული ზღვის ბილიკებით კოდორის შესართავთან „გლისერით“ შემაცურეს ჩემმა აფხაზმა მეგობრებმა, — ჩემი სისხლის და ხორცის „იქით“ დარჩენილი საფლავების მონახულების სურვილი ამეკვიატა ამ უდროო დროს!...

დიდხანს ვიდექით კოდორისპირა სოფლის განაპირას მდგარ ცაცხვთან და სახელდახელოდ გათხრილ, უკვე გვიმრითა და ღიჭით „შემოსილ“ სამარეზე „ოჯალეშს“ ვაპკურებდით ამ დილაუთენია...

მხოლოდ საღამოსვე, სხვათა თვალთაგან უჩუმრად, უნდა დავბრუნებულიყავით უკან.

...ათიოდე სახლ-კარიდან, მხოლოდ ერთის ბუხრიდან ამოდიოდა კვამლი, სევდასავით ეფინებოდა გარემოს და მხოლოდ ამით ეტყობოდა სიცოცხლის ნიშანწყალი ამ, ოდესღაც აურიამულებულ სოფელს.

ჭიდან წყალს იღებდა შაოსანი ქალი.

— საღამომდე კაკა ბიცოლასთან დავყოთ... წავეხმაროთ კიდეც რამეში!... — უთხრა ერთმა ჩემმა აფხაზმა მეგობარმა მეორეს აფხაზურად. აფხაზურის არმცოდნემაც გავიგე ნათქვამი. ასე იყო ოდითგან და არც ახლა დარღვეულა ტრადიცია, მეგრულ-აფხაზურ სიტყვას უამრავი საერთო ჰქონდა მუდამ!

კოდორის ფშანში შევაცურეთ „გლისერი“. თხმელის ტევრში მოვარიდეთ უცხო თვალს და კაკა ბიცოლას ეზო-კარს მივადექით.

თვალებზე მარჯვენა მოიჩრდილა მოხუცმა და ხმაში შეეტყო აქამდე მიჩუმათებული სიხარულის ნაპერწკალი.

— გეხარით ნანა (გაიხარეთ ნანა!)... კიდევ გავახსენდი ვინმეს?... მობრძანდით შვილებო, მობრძანდით!...

დაცვარული დოქი ჯორკოზე შედგა და ხელებგაშლილი წამოვიდა ნაჭიშკრალისკენ.

— როგორ ბრძანდებით, კაკა ბიცო, ხომ არ გიჭირს რამე?... — ჩემთვის გასაგები რომ ყოფილიყო მეგრულად გაესაუბრნენ ბიჭები კაკა ბიცოლას.

— როგორ ვიქნები შვილო, როგორ?... რა დროს ჩემი კარგად ყოფნაა?...

ოდისკენ წაუძღვა ბიჭებს:

— მოდით შვილებო, ადით მაღლა, ჩაკეტილი არცერთი კარი არ არის... ან ვის უნდა ჩავუკეტო... ან ვის უნდა გავუღო, მარტოდმარტო შევრჩი სოფელს... დაილოცეთ შვილებო... რამ გაგახსენათ ჩემი თავი?... მადლობა უფალს, კიდევ რომ ვახსოვარ ვინმეს...

— არა უშავს, კაკა ბიცოლა, აქვე ვიქნებით, ჯარგვალში... შენ ეს გვითხარი, რამე საქმე ხომ არა გაქვს გასაკეთებელი?...

— არა შვილო, თქვენ რავა შეგაწუხებთ, ან, რა ამდენი ნადი უნდა ორ ძირ სიმინდს... შეშა კი, იმდენი ჰქონდა „იმ კაცს“ დამზადებული, რომ კიდევ ხუთ წელიწადს გვეყოფოდა, რომ ვყოფილიყავით მაცხოვრებელი...

„იმ კაცს“ თავის მეუღლეს ეძახდა მთელი ცხოვრება... ცოლი ქმარს სახელით არასდროს მიმართავდა... მოწიწება იყო ასეთი აფხაზეთში და სამეგრელოში...

— მოდი, ასე ვქნათ... თოხი გაქვთ? აგერ ვართ მოსულები და გავმარგლავთ ამ შენს „ორ ძირ“ სიმინდს... კი ყოფილა გასამარგლი... შეშაც დასაპობი ყოფილა, დაგიპობთ...

— გაიხარეთ შვილებო... ვარჩედან უნდა ჩამოსულიყო ჩემი მაზლისშვილი, მაგრამ ვერ მოახერხა, ალბათ... ეგერ, ე, ნალიაშია თოხი და ნაჯახი... ყველაფერი ჰქონდა იმ საცოდავს, მაგრამ ეხლა არც ვიცი, სად რა დევს...

მერე იმარგლებოდა სიმინდის ყანა, იპობოდა შეშა, სწორდებოდა ნახევრად წაქცეული ჭიშკარი და კაკა ბიცოლა ელარჯს ხარშავდა ჯარგვალის შუაცეცხლზე, კერიისპირს ტრიალებდა წკირზე წამოცმული ქათამი და ტყემლის საწებელის სურნელი ათრობდა ქვეყანას.

ოდის დიდ დარბაზში ორი თალხშემოვლებული „ნიშანი“ ესვენა... ვიღაც ფოტოგრაფის მიერ გადიდებული ფოტოსურათიდან ორი სახე იმზირებოდა, — ერთი ვაჟკაცური, მაგრამ ჭაღარა, მეორე ჯერ ნორჩი, უწვერული ჭაბუკი.

— ჰე, გამოიხედეთ ახლა, სტუმრები მოგვივიდნენ, ვერ ხედავთ?!... ვაი, თქვენი ცოდა (ვაი, თქვენი ცოდვა)... — დაატირა კაკა ბიცოლამ და სურათს სათუთად გადაუსვა ხელი, — არა, მეტს არ გიტირებთ, უკვე ვიტირე ბევრი... ეყოფა ამდენი ცრემლი ქვეყანას... რამდენი ტირის ჩემსავით, ახლა, ამ შავ მიწაზე... ასე გიპატრონებთ ბოლომდე და მერე, მეც მოვალ თქვენთან, იქ გაარკვევს ღმერთი მტყუან-მართალს!... — იდგა კაკა ბიცოლა და ახლა, რაღაცნაირად, აქ, ამ თალხის პირისპირ დარჩენილი, უფრო ყოჩაღი, წელგამართული მეჩვენა იგი. ასე იცის ჭირთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმულმა ადამიანმა.

— დიტო ამ ოციოდე წლის წინათ კოდორმა და ზღვამ შეიწირა... ვერც იპოვეს და სიმბოლური საფლავი შემორჩა მხოლოდ ოჯახს მისი... 17 წლისაც არ იყო მაშინ... — თქვა მასპინძელთაგან ერთ-ერთმა, — მამამისი კი...

...მერე ჯარგვალში, ჩუმად, უმადოდ მივირთმევდით „ელარჯსა“ და ტყემლის საწებელში ჩალაგებულ ვარიას...

— იმ დღეს ცოდვის კითხვა დატრიალდა კოდორის ჭალებში, შვილო... ერთმანეთს ხოცავდნენ ჩვენი შვილები და „იმ კაცმა“ თქვა, — კაცო, ახალგაზრდები არიან და, ეტყობა, არავინ ჰყავთ ჭკუის დამრიგებელი, მივალ და იქნებ, შევაჩეროო, ტყვილა ხოცავენ ერთმანეთსო... ბევრი ვეცადე შემეჩერებინა, მაგრამ არ დამიჯერა და სასაფლაოდან გადაჭრა გზა, მოკლე იყო აქედან სავალი... მერე როგორც დაიწყო, ასევე მოულოდნელად შეწყდა სროლები... კარგახანს ჩამიჩუმი არ ისმოდა... გამიხარდა, ვიფიქრე, „იმ კაცმა“ მოახერხა-მეთქი შერიგება... ავდექი და გავყევი მის ნავალს... სასაფლაომდე მისული არც ვიყავი, ძახილი შემომესმა... „ის კაცი“ მეძახდა... გავქანდი! დიტოს საფლავის ქვაზე იჯდა და გვერდიდან სისხლიანი პერანგი მოუჩანდა... რა დაგემართა-მეთქი, ვკითხე... ნუ კივიხარ, წადი და თოხი და ბარი მოიტანეო, ამოიხრიალა რაღაცნაირად... მაინც მივვარდი. არ გესმის, ქალო, წადი და ბარ-ნიჩაბი მოიტანე სასწრაფოდო... მე არაფერი მიჭირს, ცოტაზე გავიფხაჭნეო, ღობეზე... დავუჯერე მე უბედურმა... სასაფლაოს იქით კი უბედურება ნახა ჩემმა თვალებმა — დახოცილები ეყარნენ ეკალ-ბარდებში. ერთი მკვდარი ცალი ფეხით ეკიდა ტყემალზე... უმეტესობა ქართველები იყვნენ, ეტყობოდათ... ახლა უკვე შორს ისმოდა სროლები. თავშალი მოვიხსენი და დავუტოვე, შეიხვიე მაინც-მეთქი. მისი სიტყვა ყოველთვის კანონი იყო ჩემთვის და სახლში გავიქეცი... ვიცოდი, მაინც არ მოიშლიდა ნათქვამს... როდესაც დავბრუნდი, უკვე იდგა დიტოს საფლავთან და თავისი პერანგითა და ჩემი თავშალით ჰქონდა შეხვეული ბარძაყი... რბილში გამიარა, ეტყობაო, თქვა და ბარი გამომართვა... რა მოხდა-მეთქი, ვკითხე, — აფხაზები მეგონა და აფხაზურად შევუძახე, რას შვებით, ნუ ხოცავთ ერთმანეთს-მეთქი... მან კი, რომ გაიგონა ჩემი აფხაზური, მომიბრუნდა და მესროლა...

...მერე დიდხანს ვთხრიდით სამარეს... ცის ქვეშ ხომ არ დავტოვებთ მკვდრებსო... ცდილობდა გაეძლო ტკივილისათვის... ნაშუადღევი იქნებოდა, სახლში მოვბრუნდი, რამეს მოვუტან და წაიხემსებს-მეთქი, საჭმელს და წყალს მაინც მოვუტან-მეთქი... ისემც მზე დაბნელებია მტერსა და უბედურს, რავარც მან დალია ის წყალი... სროლა ატყდა ისევ... გამოვიქეცი! მანქანა უკვე მოსახვევთან მიდიოდა... ცხედრები წაესვენებინათ. ჩემი უბედური კი ვერ ვიპოვე ერთხანს... გავგიჟდი, სად წაიყვანეს-მეთქი... არსად არ წაუყვანიათ, საკუთარი ხელით ამოთხრილ სამარეში ეგდო... რამდენი სისხლი ჰქონია შვილო, ადამიანს... რას ერჩოდნენ უიარაღო მოხუცს? მხოლოდ ეს კითხვა მაწვალებს დღესაც და ეგ არის, თორემ, რას ვიზამ, ეგეთი ყოფილა ჩვენი ბედი... მას მერე ვარ აქ, ვდარაჯობ საფლავებს და კიდევ აი, ამ სახლებს, მათში მეგრელები ცხოვრობდნენ შვილო, მხოლოდ ჩვენი ოჯახი ვიყავით აფხაზები ჩვენს სოფელში, ერთი ოჯახი... კარგი მეზობლობა გვქონდა, შვილო, კარგი... მეზობლები მაინც დაბრუნდებოდნენ მალე, რომ ერთმანეთს მოვუოხოთ ჭირი... რა ვიცი, ცოცხლები არიან თუ... მათაც უარესი ბედი ერგოთ?! ...

შებინდებისას კოდორის ტალღები უფრო იდუმალი და დადინჯებული მეჩვენა. სიწყნარე ეფინებოდა გარემოს და ადასტურებდა გაგონილ ჭეშმარიტებას: — წვიმისა და მდინარის ხმა ამშვიდებსო სულს! მადლობა ღმერთს, რომ არსებობდა ასეთი რამეც ამ ქვეყნად!

მაგრამ არსებობდა სხვა რამეც, — მწარე ნაკვალევი ადამიანთა უგუნურებისა! იგი კოდორისა და ენგურის ხეობებში აღბეჭდა ჩემმა პაწაწკინტელა ფოტოაპარატმა, — დამწვარი აკვნები გამოერიყათ ნაპირთან ერთსაც და მეორესაც!!

მერე ეს ფოტოები ქართულ პრესაშიც გამოვაქვეყნე ასეთი წარწერით:

„...მეორე მსოფლიო ომის ნაცეცხლურზე თითქმის ყოველი ბილიკი დამივლია, — მინახავს ხეები, დღესაც რომ მოუშუშებელი ჭრილობით რომ დადაღვიათ სხეული; დანგრეული, ნაცარტუტად ქცეული ტაძრები თუ ქალაქები და სოფლები; მიტოვებული, გავერანებული ეზო-კარი, ტყის მასივები, რომელთა მიჯნაზე წარწერებია — „შესვლა აკრძალულია!“ — აკრძალულია, რადგან მათ სიღრმეში „გაუწმენდავ“ ჭაობთა საუფლოში, ვინ იცის, რომელ მტკაველზე დევს აუფეთქებელი, მიძინებული სიკვდილი, — ნაღმი და ჭურვი, ბომბი „ფუგასური“ თუ ათასი სხვანაირი; ბელორუსიის ტყეებში თუ ბალტიისპირეთში, საპუნგორასთან თუ პირჩუპისთან შევხვედრივარ მიმობნეულ, ნადირთა მიერ გამოღრღნილ, დაუსაფლავებელ თავის ქალასა და ძვლებს ადამიანთა; ჭოგრიტს „ხელისგულზე დაუდვია“ იალბუზისა და დონღუზ-ორუნის უფსკრულოვან ნაპრალებში დღესაც ჩარჩენილი, ჩაყინული ცხედრები, მწვერვალთა ჯარი, რომ ადგათ მარადიულ საფლავის ქვებად; ზაფხულში — ნიჩბებით, ზამთარში მარხილით გადამისერავს „სიცოცხლის გზა“ — ლადოგის ტბიდან პეტრეს ქალაქს გარე სამყაროსთან, რომ აკავშირებდა, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, თუ ჩემს მამულშიც გაჩნდებოდა „სიცოცხლის გზა“... კიდევ უფრო ვერ წარმოვიდგენდი კოდორისა და ენგურის ჭალებში გამორიყულ, ნახანძრალ აკვნებს!!... ძმათა ომს, ასე სასტიკსა და უმოწყალოს...“

* * *

**...ახლა კი ოხაჩქუეს მთაზე ვდგავართ და ბაგრატ ბიძი სახელდახელოდ გაშლილ სუფრაზე ალაგებს სულუგუნჩახარშულ გუშინდელ ღომს, ჭვიშტარს, ჭყინტ ყველს, აჯიკას, აფხაზურას, შემწვარ ვარიას და ტიკჭორაში სისხლივით მშფოთვარე „ოჯალეშს“.**

ქვემოთ აფხაზეთი გველოდება...

ბაგრატ ბიძიმ ყაითანი შეხსნა ტიკჭორას, მუხლებზე გადაიწვინა და ხის მურძგა (ტოლჩა) შეავსო აჩქაფებულმა ღვინომ.

— ეს წიწილა ისრიმშია ამოვლებული... ვიცი, მოგეწონება!... — თქვა ბაგრატ ბიძიმ, ტაბაკად შემწვარ დედალს ბარკალი ააგლიჯა და ღვინით სავსე, მურძგასთან ერთად მომაწოდა.

ბალღობა გამახსენდა, — დესპინე ბიცოლამ იცოდა ამგვარად ქათმის შეკაზმვა და უპირველესად ბავშვებს ჩამოგვირიგებდა საუკეთესო ნაჭრებს.

— კი, მომეწონება... დესპინე ბიცოლას ან ცაბუ დაიას შემწვარია, ალბათ... გემრიელი იქნება!

სადღაც, ქვემოთ, გრგვინვა გაისმა და მიწისძვრის მსგავსმა ბიძგმა შეარყია მთები...

დიდხანს ვისხედით ასე, ოხაჩქუეს მთის ვულკანური ჭის უფსკრულის პირას, „ალგდს“ რომ ეძახიან აფხაზები და მეგრელები. ბაგრატ ბიძიმ, ოჯალეშით სავსე მურძგაში ჭვიშტარის ნატეხი ჩააწო და მე პირველად ვნახე მისი აცრემლებული თვალები!... არაფერი უთქვამს. არც მე მიკითხავს რამე. მივხედი, თვითონ დაარღვევდა სიჩუმეს, მაშინ გადმოღვრიდა კაეშანს, როცა საჭიროდ ჩათვლიდა!

— ჰე, დავუყვეთ, ახლა, დაღმართს!... — განზე დატოვა ბაგრატ ბიძიმ მთავარი სათქმელი და სუფრის ალაგებას შეუდგა.

მზე ზენიტზე იდგა. შორს მშვიდად თვლემდა ლურჯ სივრცედ დაღვრილი შავი ზღვა. ცისკიბულთან ახლოს, მთის მცირე ვერჩეზე, სულგაკმენდილი მიყუჟულიყო ბაგრატ ბიძის სოფელი, აქა-იქ, ნაოდარზე დარჩენილი ბუხრის სვეტებით რომ ადარდიანებდნენ ქვეყანას.

შევატყვე, დღეს იქ არ შევივლიდით ჩვენ...

* * *

**...ბალიდან სოხუმისკენ რომ მიდიხარ, ოჩამჩირის გასასვლელთან რკინიგზას საავტომობილო ტრასა ჰკვეთდა. საშინელი ამბავი მოხდა აქ 88-ში თუ 89-ში, ცოდვის ბორბალი დატრიალდა, ნამდვილი, სატირალზე მიმავალი თუ სატირალიდან მომავალი ხალხით სავსე სატვირთო მანქანას მატარებელი დაეჯახა და მგზავრთაგან უმეტესობა რკინიგზის ჯიხურს მიაჭყლიტა.** 17 ადამიანი დასახიჩრდა და დაიღუპა მაშინ, და ბიჭვინთაში, სანათესაოში მიმავალი, მეც შევესწარი ამ უბედურებას! სულ რამდენიმე წუთში გაივსო იქაურობა სასწრაფო დახმარების მანქანებით, — აფხაზეთის ყველა რაიონის მედიკებთან ერთად წალენჯიხელი, ზუგდიდელი, ხობელი ექიმებიც დასტრიალებდნენ თავს დაჭრილ-დასახიჩრებულ ცოცხლად დარჩენილებს, აპატიოსნებდნენ ცხედრებს ...

**ზაურ ფიფია.**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №179-181, 182

◎ წყალბურთი

# ქართველები - 12 უძლიერესში

**წლეულს 15 ნოემბრიდან წყალბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ლიგის ევროპული ეტაპის 2016-2017 წლების გათამაშებაში 12 გუნდი ჩაებმება, მათ შორის — საქართველოს ნაკრებიც. წილისყრით ისინი სამ ჯგუფში გადანაწილდნენ:**

A ჯგუფი: რუმინეთი, გერმანია, სლოვაკეთი, სერბეთი.

B ჯგუფი: ჰოლანდია, ხორვატეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი.

C ჯგუფი: საქართველო, იტალია, თურქეთი, რუსეთი.

ჩვენს ჯგუფში აშკარა ფავორიტია იტალია. რაც შეეხება დანარჩენ ორ მეტოქეს, მათთან ტოლ-სწორად თამაში შეიძლება. მით უმეტეს, თურქებთან ჩვენებს არაერთხელ მიუღწევიათ წარმატებისთვის. სამხრეთელ მეზობლებს ქართველებმა 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის პლეი—ოფში ორი მატჩის ჯამში აჯობეს და ფინალურ ეტაპზე გაემგზავრნენ, წლეულს ჯერ სტამბოლის საერთაშორისო ტურნირზე სძლიეს, შემდეგ ბელგრადში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე XIII-XVI ადგილებისთვის ბრძოლაში 12:11 მოუგეს. ჩვენებმა რუსებთან 2014 წლის ევროპის ჩემპიონატზე ორჯერ დათმეს შეხვედრა — 12:16 და 8:9. ამდენად, რევანში გვაქვს ასაღები. საქართველოს ნაკრები პირველი წრის ზედიზედ ორ სასტარტო შეხვედრას შინ სწორედ მათთან გამართავს — 15 ნოემბერს რუსეთს, 6 დეკემბერს კი თურქეთს უმასპინძლებს.

C ჯგუფის კალენდარი:

**15 ნოემბერი,** 2016 წ. იტალია — თურქეთი. საქართველო — რუსეთი.

**6 დეკემბერი,** 2016 წ. საქართველო — თურქეთი, იტალია — რუსეთი.

**10 იანვარი,** 2017 წ. იტალია-საქართველო, თურქეთი — რუსეთი.

**14 თებერვალი,** 2017 წ. თურქეთი — იტალია, რუსეთი — საქართველო.

**14 მარტი,** 2017 წ. თურქეთი — საქართველო, რუსეთი — იტალია.

**11 აპრილი,** 2017 წ. საქართველო — იტალია, რუსეთი — თურქეთი.

**ლექსო ცინცაძე**

◎ ლეგიონერი

# დიქსონს ვერ აჩერებენ

**მაიკლ დიქსონი, რომელიც 2017 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისურით თამაშობდა, ახალ კლუბ ათენის აეკსაც ჩინებულად შეეწყო.**

აეკ-მა მორიგი საკონტროლო მატჩი სტამბოლის „გალათასარაის“ 96:95 მოუგო. შეხვედრის გმირი სწორედ დიქსონი გახდა, რომელმაც 34 (!) ქულა ჩააგდო.

აღსანიშნავია, რომ ათენელები ბოლო წამებზე მდევრის როლში იყვნენ, როდესაც მაიკლმა გამარჯვების მომტანი ორქულიანი მიითვალა.

8 ოქტომბერს საბერძნეთის ჩემპიონატის პირველ ტურში „ყვითლები“ „აპოლონს“ ესტუმრებიან.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ ფეხბურთი

# იგი სხვაა, ლიგა სხვაა

**ზოთა არველაძის გაწვრთნილმა თელ-ავივის „მაკაბიმ“ ჩინებული სტარტი აიღო ისრაელის ჩემპიონატში და ერთპიროვნულადაც დაწინაურდა, მაგრამ ევროპის ლიგაში ებრაულ კლუბს სატრაბახო ჯერჯერობით არაფერი აქვს — უკვე ზედიზედ მეორე მატჩი წააგო და საგრძნობლად გაირთულა პლეი-ოფში გასვლა.**

**„ა“ ჯგუფი.** „მანჩესტერი“ — „ზორია“ 1:0, „ფენერბახჩე“ — „ფეიენოორდი“ 1:0.

„ფენერბახჩე“ — 4, „ფეიენოორდი“, „მანჩესტერი“ — 3-3, „ზორია“ — 1 ქულა.

**„ბ“ ჯგუფი.** „ასტანა“ — „იანგ-ბოიზი“ 0:0, „ოლიმპიაკოსი“ — „აპოელი“ 0:1.

„აპოელი“ — 6, „ოლიმპიაკოსი“ — 3, „ასტანა“, „იანგ ბოიზი“ — 1-1 ქულა.

**„გ“ ჯგუფი.** „გაბალა“ — „მაინცი“ 2:3, „სენტ ეტიენი“ — „ანდერლეხტი“ 1:1.

„ანდერლეხტი“, „მაინცი“ — 4-4, „სენტ ეტიენი“ — 2, „გაბალა“ — 0 ქულა.

**„დ“ ჯგუფი.** „დანდალკი“ — „მაკაბი“ 1:0, „ზენიტი“ — „ალკმაარი“ 5:0.

„ზენიტი“ — 6, „დანდალკი“ — 4, „ალკმაარი“ — 1, „მაკაბი“ — 0 ქულა.

**„ე“ ჯგუფი.** „რომა“ — „ასტრა“ 4:0, „აუსტრია“ — „პლზენი“ 0:0.

„რომა“, „აუსტრია“ — 4-4, „პლზენი“ — 2, „ასტრა“ — 0 ქულა.

**„ვ“ ჯგუფი.** „ბილბაო“ — „რაპიდი“ 1:0, „გენკი“ — „სასუოლო“ 3:1.

„გენკი“, „სასუოლო“, „რაპიდი“, „ბილბაო“ — 3-3 ქულა.

**„ზ“ ჯგუფი.** „აიაქსი“ — „სტანდარდი“ 1:0, „სელტა“ — „პანათინაიკოსი“ 2:0.

„აიაქსი“ — 6, „სელტა“ — 4, „სტანდარდი“ — 1, „პანათინაიკოსი“ — 0 ქულა.

**„თ“ ჯგუფი.** „შახტარი“ — „ბრაგა“ 2:0, „გენტი“ — „ქონიასფორი“ 2:0.

„შახტარი“ — 6, „გენტი“ — 4, „ბრაგა“ — 1, „ქონიასფორი“ — 0 ქულა.

**„ი“ ჯგუფი.** „კრასნოდარი “ — „ნიცა“ 5:2, „შალკე“ — „ზალცბურგი“ 3:1.

„კრასნოდარი“, „ შალკე“ — 6-6, „ზალცბურგი“, „ნიცა“ — 0-0 ქულა.

**„კ“ ჯგუფი.** „ლიბერეცი“ — „პაოკი“ 1:2, „ფიორენტინა“ — „ყარაბაღი“ 5:1.

„ფიორენტინა“, „პაოკი“ — 4-4, „ლიბერეცი“, „ყარაბაღი“ — 1-1 ქულა.

**„ლ“ ჯგუფი.** „სპარტა“ — „ინტერი“ 3:1, „ბერშევა“ — „საუთჰემპტონი“ 0:0.

„საუთჰემპტონი“, „ბერშევა“ 4-4, „სპარტა“ — 3, „ინტერი“ — 0 ქულა.

**„მ“ ჯგუფი.** „სტიაუა“ — „ვილიარეალი“ 1:1, „ციურიხი“ — „ოსმანლისფორი“ 2:1.

„ვილიარეალი“ — 4, „ოსმანლისფორი“, „ციურიხი“ — 3-3, „სტიაუა“ — 1 ქულა.

**გიორგი ზოთაძე**

◎ მხატვრული ტანვარჯიში

# ვალიევას ხუთი ჯილდო

**ისრაელის ქალაქი ეილატი სამ დღეს მასპინძლობდა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა გრან-პრისა და საერთაშორისო ტურნირს, რომლებშიც საქართველოს ორი სპორტსმენი მონაწილეობდა ნაკრების მთავარი მწვრთნელის ელისო ბედოშვილის ხელმძღვანელობით. საერთაშორისო ტურნირზე თბილისელმა ელინა ვალიევამ იყოჩაღა - მან ხუთი ჯილდო დაიმსახურა: ლენტით ოქროს მედალი მოიპოვა, მრავალჭიდში, რგოლით, გურზებითა და ბურთით ვარჯიშში კი მესამე ადგილები დაიკავა. მრავალჭიდში პირველი იყო რუსი ოლესია პეტროვა, ხოლო „ვერცხლი“ ფანი პიგნიცკის (უნგრეთი) ერგო.**

გრან-პრის ტურნირზე თბილისელი ნათელა ბოლატაევა მრავალჭიდში მე-7 ადგილზე გავიდა. იგი ასევე მეშვიდე იყო ლენტით, ბურთითა და რგოლით ვარჯიშში. აქ საუკეთესო გახლდათ რუსი ალექსანდრა სოლდატოვა, რომელიც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ხუთჯერ ავიდა.

**ლაშა დიდია**

ნათელა ბოლატაევა

◎ ჭიდაობა

## სიახლე წესებში:

# „კლასიკურში“ პარტერი გაუქმდა

**ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ ბერძნულ-რომაული ჭიდაობის წესებში ცვლილება შეიტანა: 2015 წლის აპრილში მიღებული გადაწყვეტილებით, ამიერიდან იძულებით პარტერში მოწინააღმდეგის დაყენება გაუქმებულია.**



აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიური თამაშების შემდეგ შევიდა, მანამდე კი ეს ცვლილება 18 თვის განმავლობაში ჭაბუკების, ახალგაზრდების და 23-წლამდელთა შეჯიბრებებში მოქმედებდა და საკმაოდ წარმატებითაც: მომრავლდა გდებები დგომიდან, რამაც ჭიდაობა უფრო სანახაობრივი გახადა. დასტურად ფრანგულ მაკონში 2016 წელს გამართული ახალგაზრდების მსოფლიო ჩემპიონატი გამოდგება, სადაც საქართველოს ნაკრებმა მორიგი ტრიუმფალური გამარჯვება მოიპოვა და ჩვენმა ფალავნებმა ულამაზესი გდებების კორიანტელი შემოგვთავაზეს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, იძულებით (პასიურობისათვის) პარტერში დაყენება გაუქმებულია.

მოჭიდავეს პირველი პასიურობისათვის სიტყვიერი შემჩნევა ეძლევა;

მეორედ პასიურობისათვის რეფერი აძლევს პირველ გაფრთხილებას;

მესამედ პასიურობისთვის მეორე გაფრთხილებას და 1 ტექნიკური ქულა მოწინააღმდეგეს ეწერება;

მეოთხე და მომდევნო პასიურობებისათვის მოწინააღმდეგეს თითო ქულა (ძველი წესებით მეოთხე გაფრთხილებაზე სპორტსმენი იხსნებოდა შეხვედრიდან) ეძლევა.

**ვაჟა ნოსირელი**

◎ ჩოგბურთი

# ვოზნიაცკის მე-500 გამარჯვება

**მსოფლიოს ყოფილმა ნომერ პირველმა ჩოგბურთელმა, დანიელმა ქეროლაინ ვოზნიაცკიმ კარიერაში მე-500 შეხვედრა მოიგო.**

მან „ვუჰანის“ ტურნირის 1/16-ფინალში სინანიკოვა 6:4, 6:4 დაამარცხა, რაც საიუბილეო გამარჯვება გახლდათ. 1/8-ფინალში სკანდინავიელი პოლონელ აგნეშკა რადვანსკას შეხვდება.

ქალთა ჩოგბურთის ისტორიაში ყველაზე მეტი — 1442 მატჩი მარტინა ნავრატილოვას აქვს მოგებული.

**კობა კობახიძე**

◎ სულიერება

# კახეთის მხსნელი გმირები

1 ოქტომბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესია იხსენიებს წმინდა მოწამეებს ბიძინა ჩოლოყაშვილს და ქსნის ერისთავებს – შალვას და ელიზბარს.

ეს ქართველი ვაჟკაცები ეწამნენ ქრისტიანობისთვის.

უფალმა მხნე რაინდს ბიძინა ჩოლოყაშვილს კეთილი განზრახვა შთააგონა: მან არაგვისა და ქსნის ერისთავებთან ერთად თავს იდვა კახეთის განთავისუფლება თათართაგან.

ბიძინა კარგად ხედავდა ქართველთა შესაძლებლობებს, მაგრამ ღვთის ნებას მინდობილს და სამშობლოს გამოხსნის აუცილებლობაში დარწმუნებულს, სჯეროდა გამარჯვებისა... უმთავარო ღამეს ისინი მომხვდურ თათრებს მოულოდნელად თავს დაესხნენ ბახტრიონზე.

ალავერდობის დღესასწაულზე ქართველები ყიზილბაშებს მიუხდნენ ალავერდში და გაანადგურეს ისინი. თავისუფლად ამოისუნთქა კახეთმა, უზომოდ გახარებული თავს ევლებოდა თავის ერთგულ შვილებს, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელდა სამშობლოს მხსნელი გმირების ნეტარება...

ქართველი დიდებულები პატივით ისტუმრა ცბიერმა შაჰმა – ანადიმა, ანადირა ისინი, შემდეგ სარწმუნოების გამოცვლა მოსთხოვა მათ. მაგრამ ვერ მოიხიბლნენ დაპირებით ქრისტეს ერთგული მსახურები. მაშინ შაჰის ბრძანებით გმირები შეიპყრეს, სასტიკად აწამეს. ქრისტესთვის წამებულნი კი ერთმანეთს ამხნევებდნენ, ტანჯვას ითმენდნენ და უფალს განმტკიცებას ევედრებოდნენ...

წმინდა მოწამეთა გვამები ქრისტიანებმა ფარულად დაკრძალეს. მრავალი წლის შემდეგ კახეთის მხსნელი გმირები პატივით და დიდებით დაკრძალეს იკორთის მთავარანგელოზთა სახელობის ტაძარში.

**გიული ლიპარტია**

◎ რეიტინგი

# სხვისი თვალით დანახული ჩვენი ცხოვრება

**დიდი ბრიტანეთის კვლევითი ცენტრის „ნიუ ეკონომიკ ფაუნდეიშნის“ მორიგი ანგარიში „მსოფლიო ბედნიერების ინდექსი – 2016“ მონაცემების თანახმად, რომელიც ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ დგება, კავკასიაში ყველაზე ბედნიერი ხალხი საქართველოში ცხოვრობს.**

ინდექსის შემდგენელები თავიანთ გაანგარიშებებში ისეთ მაჩვენებლებს იყენებენ, როგორებიცაა, კერძოდ, **ცხოვრების ხარისხი, სიცოცხლის ხანგრძლივობა** და **ეკოლოგიური ვითარება.**

წლევანდელ ანგარიშში, აღნიშნული პარამეტრების გათვალისწინებით, საქართველოს – 140 ქვეყანას შორის – მე-40 ადგილი მიაკუთვნეს, რაც, წინა პოზიციასთან შედარებით, რომელიც 2012 წელს გვეკავა, 15 საფეხურით წინსვლაა. ამ მხრივ ჩვენი უახლოესი, ასე ვთქვათ, „მეზობლები“ **ისლანდია** და **კვიპროსი** არიან, რომლებსაც, შესაბამისად 39-ე და 41-ე ადგილები უკავიათ.

ბრიტანელ ექსპერტთა „პრაის ლაისტში“ საქართველოში მოსახლეობა „კავკასიური სამეზობლოს“ ხალხებზე გაცილებით ბედნიერად გრძნობს თავს. კონკრეტულად კი, აღნიშნულ რეიტინგში **თურქეთს** 68-ე ადგილი აქვს მიჩენილი, **სომხეთს** – 73-ე, **რუსეთს** – 116-ე (აზერბაიჯანი ამ ნუსხაში, რატომღაც, არ ფიგურირებს).

„ბედნიერების ინდექსის“ რეიტინგის ლიდერია **კოსტა-რიკა,** შემდეგ მოდიან **მექსიკა** და **კოლუმბია,** ხოლო ყველაზე უბედურად თავს გრძნობენ **ტოგოს, ლუქსემბურგისა** და **ჩადის** მოქალაქეები (შესაბამისად, 138-ე, 139-ე და 140-ე პოზიციები).

საგულისხმოა, რომ პირველი მსგავსი რეიტინგი ერთგვარად გაეროს ცნობილი „ადამიანის განვითარების ინდექსის“ საპირწონედ შეიქმნა, რომლის მიზანია წარმოაჩინოს, თუ რამდენად წარმატებულად უზრუნველყოფს ესა თუ ის ქვეყანა საკუთარი მოსახლეობის ბედნიერ ცხოვრებას.

**ნინო ალექსანდრია**

# უნიკალური აღმოჩენა წალკაში

**ძართველი და პოლონელი არქეოლოგების ჯგუფმა საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით, ბეშთაშენში (წალკის რაიონი) უძველესი სამარხის გათხრებისას ორი**

**უთავო ჩონჩხი და ლანგარზე დადებული თავის ქალა აღმოაჩინა.**

გათხრები ამ ზაფხულს მიმდინარეობდა. განსაკუთრებული ყურადღება ორმაგმა სამარხმა მიიქცია, რომელშიც ახალგაზრდა მამაკაცი და ქალი იყო დაკრძალული. ორივე ჩონჩხი ემბრიონის პოზაში, ერთმანეთის მიყოლებით იწვა. მეორე სამარხში მხოლოდ ქალის თავი აღმოჩნდა. გარდაცვლილის ასაკი დაახლოებით 17-27 წელი იყო, თავის ქალა ბრტყელ ლანგარზე იდო, რომლის გარშემოც რამდენიმე ჭურჭელი იდო და მძივები იყო გაბნეული.

ეპიტაფია

## თენგიზ დონაძე

ღმერთსაც რჩეულები უნდაო, ამბობენ... ის იყო კაცი, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა, ასე ამბობენ ადამიანზე, რომელიც ყველა იმ ღირებულების მატარებელია, საუკეთესო თვისებების, სრულყოფილი ზნეობისა და სხვა გამორჩეული სიკეთეების დამფუძნებელი და განმანათლებელია.

ასეთი იყო **თენგიზ დონაძე,** კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცლერის მოადგილე, უნივერსიტეტის სული და გული, დიდთან დიდი და პატარასთან პატარა, ყველასთვის საყვარელი და ნუგეშის მიმცემი. ასეთი იყო ჩვენი თენგიზი, რომელმაც თავის ქვეყანაში ბევრ თანამდებობაზე იმუშავა და მისაბაძ და ანგარიშგასაწევ პიროვნებად დარჩა ყველას მეხსიერებაში... მისი კულტურა და ქართული ზრდილობა აღაფრთოვანებდა გარშემო მყოფთ... იყო ძალიან საქმიანი და დავალებების უზადო შემსრულებელი. წარსულში დიდმა სპორტსმენმა, რაჭის ულამაზეს ბუნებას შეზიარებულმა, ყველა სიმაღლე დაიპყრო და ასეთივე სიყვარულით შეენივთა თავის საყვარელ თბილისს, რომლისთვისაც სული და გული არასოდეს დაუკლია, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, გახდა იმ საშინელი ეპოქის მსხვერპლი, რომელმაც უამრავი ქართველი შეიწირა და სრულიად უსამართლოდ მოახდევინა უდანაშაულო ადამიანს სასჯელი, ბოლოს მართალი აღმოჩნდა, მაგრამ განცდილ სულიერ ტკივილს, თან გამოჰყვა ფიზიკური ტკივილიც... უბედურებისთვის გაიმეტა მისი ოჯახი.

თენგიზის კეთილშობილება, ღირსება და ქრისტიანული მორალი, არც სამაგიეროს გადახდისთვის ილტვოდა, ყველას შენდობას სთხოვდა უფალს!

უფლის ძალა მიაცილებს სამუდამო სასუფეველში, უფალია ყველას განმკითხავი!

**კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი**

სანთელი

**„პრესის გავრცელების სამსახურის“ თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პრესის თანამშრომელი**

**ვენერა ქემხაძე-ალდგომელაშვილი.**

# მსოფლიოს 10 თანამედროვე სამშობიარო

**მთელს მსოფლიოში სამშობიარო სახლების ინფრასტრუქტურა ელვის სისწრაფით უმჯობესდება. ცივი პალატები უამრავი მეტალის ნივთითა და თვალისმომჭრელი განათებით წარსულს ბარდება. მათ ფეშენებელური პალატები ანაცვლებს, დიზაინერის მიერ შემუშავებული ინტერიერით, რომლებიც მხოლოდ მცირედით თუ ჰგავს სამშობიარო ბოქსებს.**

**Lenox Hill Hospital, აშშ, ნიუ-იორკი.**

სამშობიაროს მთავარი მახასიათებელი: მდებარეობს მანჰეტენზე, სამშობიაროში მუშაობენ აშშ-ის საუკეთესო მეან-გინეკოლოგები. ცნობილი სტუმრები: ბიონსე, ჯესიკა სიმპსონი.

**Broward General Medical Center, აშშ, მაიამი**

საავადმყოფოს მთავარი მახასიათებელი: თითოეულ პალატაში ახალგაზრდა დედებს საშუალება აქვთ სპეციალურ სატელევიზიო არხი ჩართონ და მათთვის განკუთვნილ სასწავლო პროგრამას უყურონ.

**Cedars-Sinai Medical Center, აშშ, ლოს-ანჯელესი**

სამშობიაროს მთავარი მახასიათებელი: ყველაზე ძვირად ღირებული სამშობიარო ამერიკაში. ცნობილი სტუმრები: მადონა, სინდი კროუფორდი, მილა იოვოვიჩი, კრისტინა აგილერა, სელმა ჰაიეკი, კეიტ ჰოლმსი.

**The Portland Hospital, დიდი ბრიტანეთი, ლონდონი**

სამშობიაროს მთავარი მახასიათებელი: თითოეულ ახალშობილს ჩუქნიან სათამაშოს, ხოლო დღესასწაულებზე უგზავნიან მისალოც ბარათებსა და საჩუქრებს.

ცნობილი სტუმარი: ვიქტორია ბექჰემი.

**Memorial Regional Hospital, აშშ, ფლორიდა**

სამშობიაროს მთავარი მახასიათებელი: ავეჯი დამზადებულია ეკოლოგიურად სუფთა მასალისგან, რომელიც თბილ ტონებშია გაწყობილი; ადგილზე მდებარეობს ფიტნეს ცენტრიც

**Clinique de la Muette, საფრანგეთი, პარიზი**

სამშობიაროს მთავარი მახასიათებელი: ახალშობილთა დედებს ემსახურებიან პლასტიკური ქირურგიის სპეციალიტები.

ცნობილი სტუმარი: კარლა ბრუნი

**The Princess Grace Hospital, დიდი ბრიტანეთი, ლონდონი**

სამშობიაროს მთავარი მახასიათებელი: ერთ-ერთი კერძო საავადმყოფო ქვეყნის ტერიტორიაზე.

**Maternity Santa Maria Lenval, საფრანგეთი, ნიცა**

სამშობიაროს მთავარი მახასიათებელი: მშობიარეთა პალატების ფანჯრები ზღვას გადაჰყურებს.

ცნობილი სტუმარი: ანჯელინა ჯოლი.

**Hello Kitty, ტაივანი**

საავადმყოფოს ინტერირი და ავეჯი, ასევე დამატებითი აქსესუარებიც შემუშავებულია Hello Kitty-ს სტილში.

**Hollywood Birth Center, აშშ, ჰოლივუდი**

სამშობიაროს მთავარი მახასიათებელი: ამ ცენტრში ანესთეზიასა და საკეისრო კვეთას არ აკეთებენ.

# მილოცვა

საქართველოს ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის კრებამ, სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში დაუღალავი, ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, 70 წლის ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორ-გამომგონებელი, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი

**ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე მუმლაძე**

აირჩია აკადემიის ნამდვილ წევრად — აკადემიკოსად.

გილოცავთ ამ დიდ აღიარებას და გისურვებთ შემდგომ წარმატებებს.

**ნუგზარ ნადარაია — აკადემიის პრეზიდენტი,**
**აკადემიკოსები: გურამ კუპატაძე,**
**გივი გუთხუზი, ტარიელ მუმლაძე,**
**იოსებ ხუცურაული და სხვები.**

P. S. გვინდა, გაცნობოთ, რომ იუბილარმა წელს დაასრულა წიგნი „თვალმარგალიტში ამღერებული ვეფხისტყაოსანი“, რომელიც მიუძღვნა შ. რუსთაველის დაბადების 850 წლისთავს, გილოცავთ!

◎ ინტერნეტიდან

# კორელის საფიქრალი

**დიდ საფიქრალსა და საწუხარშია ტან-ფეხ-ბარძაყდალოცვილი ბელგიელი მოდელი კორელ პაროვეჩიო. ეს ასული ბელგიელი კია, მაგრამ იტალიური ფესვები აქვს და, შესაბამისად, წარმოშობით იტალიელია. ჰოდა, მისდა „ჭირად“, ამ ცოტა ხნის წინათ, გენუაში მისი დიდი ბაბუა გარდაიცვალა, რომელსაც გვარიანი ქონება დარჩენია.**

კორელის დიდ ბაბუას 14 მილიონევროიან მემკვიდრეობაზე ანდერძი არ დაუტოვებია და ვისაც კი არ ეზარება, ყველა იძახის, ეგ ქონება მე მერგება და მე უნდა დამრჩესო. კორელ პაროვეჩიოც სხვებს, აბა, რატომ ჩამოუვარდებოდა? დაიქირავა ადვოკატი და იტალიის სასამართლოს ისეთი ძალით „აწვება“, შეიძლება რამე გამოუვიდეს კიდეც.

კორელ პაროვეჩიო ნამეტნავად მონდომებული და მარიფათიანი ვინმე რომაა, იმითაც ჩანს, რომ ბელგიის საფეხბურთო ნაკრების თილისმის იმიჯი შეიქმნა და ამ კუთხით მრავალ იქაურ ლამაზმნს „გადაუჯოკრა“ არადა, საქმე-საქმეზე რომ მიდგეს, შეიძლება 5 ბელგიელი ფეხბურთელიც კი ვერ ჩამოთვალოს, მაგრამ რა პრობლემაა?!...

**როსტომ რაჭველიშვილი**

◎ გამოფენა

# ზეზვა და მზია მნახველებს ელიან

**იმას, რომ კავკასია ევრაზიის უზარმაზარი სუპერკონტინენტის დასავლეთ-აღმოსავლეთის, ასევე მისი და აფრიკის კონტინენტის ჩრდილოეთ ნაწილების გზაჯვარედინია, მეცნიერებამ დიდი ხანია, აღიარა.**

ამიტომაც, კაცობრიობის არსებობის ყველა ეტაპზე ის განუზომლად დიდ როლს ასრულებდა ადამიანის გავრცელების არეალის გაფართოებასა და, შემდგომ, ცალკეულ ტომთა და მერე უკვე ხალხთა და კულტურათა ურთიერთობებში. კავკასია აფრიკიდან გამოსული ადამიანების მიგრაციისა და განსახლების ადგილი ოდითგანვე იყო, რასაც, სხვა ფაქტებთან ერთად, საქართველოს ტერიტორიაზე ქვის ხანის ხუთასზე მეტი ძეგლი და ადგილსაპოვებელია მიგნებული.

ამდენად, ამჟამად საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში გახსნილი გამოფენა „ქვის ხანის საქართველოში“ უკლებლივ ყველა

ასაკისა და განათლების ცენზის მქონე მნახველისთვისაა უაღრესად საინტერესო.

ექსპოზიციაში წარმოდგენილია საქართველოს ქვის ხანა (1,77 მლნ. — 8 ათას წ.წ.) და მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში აღმოჩენილი ანთროპოლოგიური მასალა, რომელიც ადამიანის ევოლუციის ისტორიის თვალის გადევნების საშუალებას იძლევა.

სამხრეთ კავკასიაში ადრეულ ადამიანთა ნაშთები, რომლებსაც თანამედროვე დმანისის ტერიტორიაზე მიაგნეს, 1,77 მილიონი წლის ასაკისაა, რაც უძველესია ევრაზიის ტერიტორიაზე და აფრიკიდან განსახლების პირველ ადგილსამყოფელს წარმოადგენს. დღეისთვის დმანისში ხუთი, მათ შორის, საქვეყნოდ ცნობილი ზეზვასა და მზიას თავის ქალა, ოთხი ქვედა



ყბა და 70-ზე მეტი ჩონჩხის ძვალია აღმოჩენილი. მიგნებულია ასევე ქვის იარაღებიც.

დმანისის გარდა, საქართველოში ქვის ხანის (500 ათასი — 8 ათასი წ. წ.) უამრავი სხვადასხვა პერიოდის ძეგლია აღმოჩენილი, რომელთა მასალა იმ დროის იარაღის დამუშავების ტექნოლოგიის განვითარების ყველა ეტაპს ასახავს, გარემო პირობებთან ადამიანის შეგუების პროცესსა და სოციალურ ცვლილებებს წარმოაჩენს.

გამოფენაზე ასევე წარმოდგენილია ცნობილი პალეოარტისტების ელიზაბეთ დენის, მაურისიო ანტონის, ჯონ გურჩისა და როდოლფო ნოგუერას მიერ შესრულებული პომინიდებისა და დმანისის გარემოს რეკონსტრუქციები.

**დალი ხუნდაძე**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო**

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

**ავტორთა საყურადღებოდ!**

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.**

ანეკდოტები

**ძორწილამდე** მამა არიგებს ვაჟიშვილს:

— გახსოვდეს, შვილო, რომ ცოლის მოყვანისას უნდა გადაიტანო სამი სტრესი: პირველი, როცა ცოლს უმაკიაჟოდ ნახავ, მეორე — როცა მასთან ერთად მაღაზიებში საყიდლებზე წახვალ და მესამე — როცა პირველად სიდედრი გეწვევა! მერე და მერე უფრო გაგიადვილდება!

* * *

**ანბანური** ჭეშმარიტებაა, რომ თუკი ორჯერ მაინც რაიმე ძნელ საქმეს ნებაყოფლობით გააკეთებ, მესამე ჯერზე ყველანი შენგან იმავეს გაკეთებას დაელოდებიან, მეოთხეზე კი უკვე მოგთხოვენ!

* * *

**დედა-შვილი** „ვიქტორინობას“ თამაშობს და კითხვებს ხმამაღლა კითხულობს:

— რის გამო გამოაძევეს ადამი სამოთხიდან?

— ვაშლის გამო! — სიხარულით ერთხმად შესძახებს ორივე.

— ვაშლის კი არა, ქალის გულისთვის! — ისმის დაბოღმილი მამის ხმა სამზარეულოდან.

* * *

— **რაია** აი, ჭიჭიკია, რა საფრთხობელაა?

— აი ჩემი მეუღლეა!

— აუჰ, რა გოგოა!..

* * *

**პირველი** ფსიქოთერაპევტი ნამდვილად ებრაელი იყო, იმიტომ, რომ აბა, განა ვინმე სხვა იმას მოიფიქრებდა, რომ თავის ლაპარაკში პაციენტებისთვის ფული გამოერთმია?!.

**„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.3297; ევრო - 2.6132;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0284;
100 რუბლი - 3.6850; თურქული ლირა - 0.7751;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4337;
1000 სომხური დრამი - 4.9191.

**ამინდი 1 ოქტომბრისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +6, | დღე +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +1, | დღე +23 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +9, | დღე +28 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +4, | დღე +25 |
| **თბილისი:** | ღამე +10, | დღე +22 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE